ოთვლეკეირეული საპოლიტიკო, საშეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 18 21 სექტემბერი 1908 წ. ფასი 10 კ.

შინაარსი: სპარსეთისა და ოსმალეთის მოძრაობის შესახებ.—გზა-და-გზა (ავტონომია და მუშათა კლასი).—სხვა და სხვა ამბები—ჩვენში.—რუსეთში.—ოსმალეთი.—სპარსეთი.—სალ მი თქვენ! (ლექსი), **ქუჩიშვილისა**.—მუდარა. (ლექსი პროზათ), **ლევ. მეტრეველისა**.—ბავშვი, **გ. ზ. მაჩაბელისა**.—პროვინცია: ახალციხე-ჯავახეთი, რაკა.—საზღვარგარეთი.—ქართული თეატრი ქ. ქუთაისში, **სერ. ეორეკ.-სა**.—თეატრი, **პარ—სისა**.—ღია წერილი.—განცხადებანი.

სპარსეთისა და ოსმალეთის მოძრაობის შესახებ.

საზოგადოებრივ ცხოვრების მაჯის ცემა მოშვებულ-მოდუნებულია, სახალხო თაოსნობა-თვითმოქმედება ჩამკვდარ-ჩაფერფლილია, რეაქციის სულის შემხუთავი ჯანღ-ბურუსი სქლათ დასწოლია გატანჯულ-გაწამებულ ქვეყანას; აქ, ძალას, ტლანქ—ხეპრე ფიზიკურ ძალას, ძალადობას და თვითნებობას ფართეთ დაუდგამს თვისი საზარელი, სისხლით ნაღები ტახტი; ხოლო იქ, ცოტა მოშორებით, ჩვენს გვერდით, სამხრეთისაკენ, სამხრეთ-აღმოსავლეთ-დასავლეთისკენ, სადაც ჯერ კიდევ გუშინ სიკვდილის აჩრდილი დაჰფარფატებდა მონათა ბრბოს, იქ, თითქოს გრძნეული ძალის მეოხებით, ქვეყანას საშინელი სუდარა უკვე გადასძრომია, თამამი ცხოვრება ძალუმათა სჩქეფს უხვ ნაკადულებათ და ხალ კალაპოტს იკეთებს თავისუფალ განვითარებისათს,

ოსმალეთი, რომელიც ევროპიელ პოლიტიკოსებისა და დიპლომატების სიტყვით, გუშინ წარმოადგენდა ცოცხალ მძოვრს, დღეს უკვე ევროპიულ ქვეყნის იერს იღებს. იქ ყოველ დღე იმართება მრავალ-რიცხოვანი სახალხო ყრილობანი, მიტინგები, სხვა-და-სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციების კრებები, სადაც აღიარებენ „ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს“, ამუშავებენ პოლიტიკურ პროგრამებს და საარჩევნო პლატფორმებს, ადგენენ მომავალ საპარლამენტო ბრძოლის გეგმებს, ემზადებიან ახალ წეს-წყობილების დასამყარებლათ, პოლიტიკურ თავისუფლების განსამტკიცებლათ. ყველანი მოუთმენლათ ელიან და შეჰხარიან პირველ ნოემბერს, როცა ოსმალეთში უნდა გაიხსნას პარლამენტი, რომელიც—ახალგაზდა ოსმლთა კომიტეტის სიტყვით—თავის თავს დამფუძნებელ კრებათ გამოაცხადებს. სპარსეთი, ეს მორჩილი საწიწკნავი ლუკმა ევროპიელთა, უკან არა რჩება ამ მოძრაობას. სპარსეთში, მართლია, რეაქციის ქარ-ტეხილმა უკვე დაამსხვრია პოლიტიკურ თავისუფლების ნორჩი დაწესებულებანი, მაგრამ ხალხს მაინც იარაღი არ დაუყრია და დღევანდლამდე გამწარებით ეკვეთება დესპოტს ბეჯითი გადაწყვეტილებით: „გამარჯვება ან სიკვდილი სახელოვანი!“ რაიც ტუტუარი თავმდებია სახალხო თავისუფლების აღსადგენათ. ხოლო რუსეთი, ეს ბუმბერაზი სახელმწიფო, რომლის ძლიერების წინაშე ჯერ კიდევ გუშინ, რუსეთ-იაპონიის ომის წინათ, ევროპის თვით უდიდესი სახელმწიფონი კრძალვით უკან იხევდენ, რუსეთი დღეს საშინელ პოლიტიკურ აპატიას, უხალისობას მოუცავს, იმის ტყვიის ფერ, გაცრეტებულ ცაზე უმოძრაობას და უიმედობას დაუსადგურებია.

ყველა ამის შემხედვარეს, რუსის ნაციონალურ სიამაყეს ჰაი, ჰაი, რომ საბუთი არა აქვს იდიდგულოს. და ამით უფრო ნაკლებ საბუთს იძლევა დღევანდელ სპარსეთის ვითარება. გეხსომებათ, რომ ამას წინათ შაჰს წარეგზავნა რუსეთ-ინგლისის ნოტა, რომლითაც მას მოაგონებდენ პირველ ნოემბრისათვის მეჯლისის მოწვევის საპიროებას. შაჰი ამაზე, რასაკვირველია, თანხმობას უთვლიდა. მაგრამ აი, გაზეთები გადმოგვცემენ, რომ შაჰი სრულებითაც არ ფიქრობს დაპირების შესრულებას. ამ დღეებში შაჰმა ინახულა საფრანგეთიდან მიღებული ახალი ზარბაზნები იმ კაზაკთა ბრიგადისთვის, რომლის კომანდირია პოლკოვნიკი ლიახოვი. შაჰი ზარბაზნების სროლით დიდათ კმაყოფილი დარჩა და განაცხადა: სანამ ადერბეიჯანს არ დავამშვიდებ, მეჯლისის მოწვევაზე ფიქრი ამაო არისო. პოლკ. ლიახოვით გამხნევებული შაჰი მეჯლისის მოწვევაზე კი არ ფიქრობს, არამედ ყველა კონსტიტუციონალისტების შეპყრობა-დამორჩილებაზე და კონსტიტუციის საბოლოოთ მოსპობაზე. რუსეთის მთავრობა ინგლისთან ერთათ დიპლომატიური გზით მოიხრე გამოდის სპარსეთში კონსტიტუციის აღდგენისა და იმავე დროს რუსის ოფიცერი, რუსის სამსახურში მყოფი და სპარსეთშიც რუსეთის მთავრობის მიერ გაგზავნილი, პოლკოვნიკი ლიახოვი, რომელიც წინ უძღოდა ჯარის კაცებს სპარსეთის პარლამენტისა და ენჯუმენების დასანგრევათ, აი ეს პოლკოვნიკი მარჯვენა ხელი შეიქნა შაჰისა და რეაქციის სული და გული გახდა. ამას ისიც დასძინეთ, რომ ამას წინათ პროფ. ბროუნი სპარსეთისა და სპარსეთის საქმეების კარგათ მცოდნე ინგლისურ გაზ. „ტიმეს“-ში ფაქტებით ამტკიცებდა, ვითომ რუსეთის მთავრობა შაჰს მკარველობას უწევს ძველი რეჟიმის აღსადგენათო. რაღა საკვირველია თუ რუსეთის ყველა პროგრესიული ორგანოები ეხლა დაჟინებით ითხოვენ და ურჩევენ მთავრობას უკანვე გამოიწვიოს პოლკ. ლიახოვი. ამას ჩვენ ამაო ფუჭ ოცნებათ მივიღებდით, რომ თვით ინგლისის მთავრობასაც არ გამოეთქვა სურვილი—დასახელებული პოლკოვნიკი მოშორდეს სპარსეთის მიდამოებს. საქმე იქამდის მივიდა, რომ თვით დარბაისელი და ზომიერი გაზ. „Слово“ მწუხარებითა სწერს: „თუ ამ უკანასკნელ ხანებში ევროპა რუსეთს აღარ უყურებს, როგორც თავის ჟანდარმს, მით უფრო საპიროა ეს მეტი სახელი ჩვენ არ დაგვიმკვიდრონ ახლათ გამოღვიძებულ აღმოსავლეთის ხალხებმაო“.

ასეა თუ ისე, ეტვს გარეშეა, რომ სპარსეთში აქამდინაც განმტკიცებული იქნებოდა სახალხო მართვა-გამგეობა, რომ იქ საქმეში არ ჩარეულიყო „გარეშე ძალა“. მაგრამ ერთის მხრით ის გარემოება, რომ თვითონ რუსეთში დღევანდელი პოლიტიკური ვითარება, აპატია, ხალხის პოლიტიკური უილაჯობა წარმავალია და რომ აქ კონსტიტუციონური რეჟიმის დამყარება სადღე-ხვალიო საკითხი არის, და მეორე მხრივ, თვით სპარსეთის ხალხის თავ-განწირული ბრძოლა საკმაო თავმდები არის, რომ იქ პოლიტიკური თავისუფლების გამობრწყინებას ვეღარაფერი ვერ შეაჩერებს. ყველაფერი მოწმობს, რომ ასევე, ანუ უკეთესათაც არის საქმე ოსმალეთში. ხოლო სპარსეთსა და ოსმალეთში კონსტიტუციონურ წეს-წყობილების დამყარება რუსეთის ხალხს შეაძლებინებს უფრო მეტის მხნეობითა და გამბედაობით გამოვიდეს განახლების გზაზე.

კერძოთ კავკასიისათვის და ქართველობისათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სპარსეთისა და ოსმალეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა. ორივე ეს სახელმწიფო ჩვენ გვერდზე გვაკრავს, ორივე ჩვენი ძველისძველი, ისტორიული მეზობლებია. ამასთანავე ორივეგან სცხოვრობს ჩვენი ერის ადამიანთა საგრძნობელი რიცხვი. მოგეხსენებათ, რომ კაპიტალისტურ ცხოვრების პირობებში ნაციის რაოდენობას ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს. ხოლო ნაციის სხვა და სხვა სახელმწიფოში მყოფ ნაწილთა დასაახლოვებლათ და შესაკავშირებლათ კი ყოველივე სურვილები და იდეიური ქადაგება შორ მანძილ-ვერ გაივლის და ფუჭათაც დარჩება, თუ აქ არ არსებობს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების მზგავსება, დაახლოვება. უკანასკნელს ძალუმათ ხელს უწყობს თანამედროვე პოლიტიკური პირობები, სახალხო წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობა. ასე რომ სპარსეთ-

ოსმალეთში კონსტიტუციონურ წეს-წყობილების შემოღება მკვიდრ საფუძველს უყრის, სხვათა შორის, ჩვენს იქაურ ქართველ მომძეებთან ნაციონალ-კულტურულათ შეკავშირებას. ეს თავის მხრივ მოასწავებს მთელი ერის შემომქმედ ძალების გაღონიერება-განაყოფიერებას და კულტურულათ ამაღლებას. ერის კულტურულათ გაღონიერება კი ნიშნავს უკეთესი პირობების შექმნას მუშა ხალხის გონებრივ-ზნეობრივ ასამაღლებლათ და საერთოთ მუშათა საქმის წინ წასაწევათ.

გარდა ამისა, ოსმალეთში, რაც დრო მიდის, იმდენი უფრო მწვავდება ეროვნული საკითხი. ამ დღეებში გამოქვეყნებული პრინც საბაედდინის და მის მიმდევართა დეკლარაცია ადმინისტრატიულ დეცენტრალიზაციის შესახებ თუნდაც მიღებულ იქმნას ყველა ახალგაზდა ოსმალთა ორგანიზაციებისაგან, რომელნიც დღემდე სამწუხაროთ სრულ ცენტრალიზმის მებაირაღტრეთ გამოდიან, ეს მაინც ვერ გადასწყვეტავს ეროვნულ საკითხს და, რა თქმა უნდა, ვერ დაკმაყოფილებს სომხებს, რომელნიც გაუსწორებელი ავტონომისტები არიან და სამართლიანაც. ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხის გარშემო ატეხილი ბრძოლაც ჩვენთვის დიდათ საგულისხმოა, რადგან ივიე ნაციონალური საკითხი რუსეთის იმპერიაშიც ერთ-ერთი ძირითადი სახელმწიფოებრივი საკითხი არის.

აი ყველა ამ მოსაზრებათა გამო ჩვენ მთელის არსებით თანაზიარი ვართ სპარსეთის და ოსმალეთის განმათავისუფლებელ ბრძოლის სიხარულის და მწუხარების.

გ ზ ა - დ ა - გ ზ ა.

VII

ავტონომია და მუშათა კლასი.

ჩვენ გზა-და-გზა გავყევით ამხ. ჩხენკელს და ამასობაში სრულიად გადაგვავიწყდა მეორე ამხანაგი, რ. ა., რომელმაც ამ რამდენიმე ხნის წინათ ბავშვური სულსწრაფობით და დარდიმანდულათ ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრა და ასეთი სტრიქონები ჩააწიკწიკა: „არ შემიძლია უყურადღებოთ დავტოვო უკანასკნელ №-ში (ე. ი. „ჩვენი კვ.“ № 12-ში) მოთავსებული წერილი „პროფ. კავშირები და ეროვნული ავტონომიის საკითხი“,*) რომელშიაც **„ბევრი არეულ-დარეული აზრებია გამოთქმული“** („ხომლი“, № 26). პირველი ძირითადი არევ-დარევა და წინააღმდეგობა აზრისა რ. ა.-მ დაინახა იმაში, რომ ზემოხსენებულ წერილში ჩვენ პროფესიონალურ კავშირებს განვუმარტავდით თუ რამდენათ საჭიროა მათთვის საკუთარ ორგანიზაციებს აწყობდენ ცენტრალისტურათ, ხოლო სახელმწიფოში კი ენერგიულათ იცავდენ დეცენტრალიზაციას, — ადმინისტრატიულს, ფართე ადგილობრივ თვითმართველობის სახით, სახელმწიფოს საერთო დემოკრატიზაციის განსახორციელებლათ, და—პოლიტიკურს, ავტონომიების სახით, ეროვნულ საკითხის გადასაწყვეტათ.

ერთის შეხედვით, აქ მართლაც არის წინააღმდეგობა. თუ ცენტრალიზაცია კარგია, ის კარგი უნდა იყოს როგორც მუშათა კლასის ორგანიზაციისათვის, ისე სახელმწიფო წესწყობილებისათვის, და მაშ ჩვენ მას უნდა ვითხოვდეთ, როგორც პირველისათვის, ისე მეორისთვის. ხოლო თუ ცუდია, ცუდი იქნება ორივეგან და მაშ ორივეგან უნდა უარყოფილ იქმნას. ასეთი მსჯელობა სწორე იქნებოდა, რომ სახელმწიფოსა და მუშათა კლასის შორის გამეფებული იყვეს ინტერესთა ჰარმონია, მაგრამ, მოგეხსენებათ, ნამდვილათ ასე არ არის. აი თვითონ გზ. „ეკალი“ რას გვატყობინებს: „თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფო, ეს გაბატონებულ კლასთა ორგანიზაციაა; დღევანდელი მთავრობა, ეს ამ კლასების აღმასრულებელი კომიტეტია.. დღეს მთელი სახელმწიფო ძალა-უფლება გაბატონებულ კლასების ხელშია. ეს მათი ბატონობის და ყვლეფის იარაღია, იარაღი, რომლითაც იმონებენ ხალხის ლატკა ნაწილს, ხოლო ამ ორ კლასთა შორის შეურიგებელი წინააღმდეგობაა“ და სხ. („ეკალი“, № 13). ყოველ შემთხვევაში აქ ჩვენ წინ ორი მოწინააღმდეგე ბანაკია, და რაღა საკვირველია თუ იგინი ერთმანეთს შეეცილებიან სტრატეგიულ, საომარ გეგმის პრინციპში და ასეთი პრინციპია ცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია. მუშათა კლასი, როგორც მებრძოლი მხარე, რა თქმა უნდა, დაინტერესებულია ისე მოაწყოს თავისი ორგანიზაციები, რომ განხორციელებული იყოს ძალთა კონცენტრაციის მაქსიმუმი და ამასთანავე შესაძლებელი იყოს ამ ძალთა უფრო სწრაფათ და ადვილათ ამოძრავება. ასეთ მოწყობილობას იძლევა ცენტრალიზაცია და ამიტომაც მუშათა კლასი სწორეთ ამ პრინციპს უნდა ატარებდეს თავის ძალთა ორგანიზაციაში, **რამდენადაც კი ეს შესაძლებელია და შესაფერი ადგილობრივ პირობების მიხედვით**. იმავე მოსაზრებით გაბატონებული კლასებიც ესწრაფიან იმავე ცენტრალიზაციის პრინციპის გატარებას სახელმწიფოში და ამიტომაც მუშათა კლასი სახელმწიფოსათვის წინააღმდეგია ცენტრალიზაციის; ე. ი. წინააღმდეგია, რომ სახელმწიფოს მოეპოგბოდეს საშინელი იარაღი ყვლეფისა და ჩაგვრა-მონობისა. ასეა საქმე საზოგადოთ, მაგრამ ზოგადი მსჯელობით არ უნდა დავკმაყოფილდეთ ხოლმე. ზოგჯერ ცენტრალიზმი შეიძლება მოასწავებდეს უილაჯობას, უძლურებას და დეცენტრალიზაცია კი ჰქმნიდეს მეტ საქმიანობას, მეტ ძლიერებას. ყველაფერი დამოკიდებულია დროსა და ადგილის პირობებზე. თუ გვინდა რომ უზრუნველ ყოფილი ვიყოთ შეცდომებისაგან, საქმეს უნდა განვიხილავდეთ კონკრეტიულათ. მაგრამ ამ საკითხის დაწვრილებით შესწავლა არ შეადგენს ამ წერილის საგანს. ჩაყვევთ ისევ რ. ა—ს.

ზემოხსენებულ ჩვენს წერილში საქმე ეხება რუსე-

---

*) ნამდვილათ ჩვენს სტატიას სათაური აწერია: „პროფ. კავშირები და ნაციონალური საკითხი“.

თის სახელმწიფოს და ნიშანში ამოღებულია ძველი რეჟიმის ცენტრალიზმი, რომლის წინააღმდეგ ვითხოვდით ადმინისტრატიულ და პოლიტიკურ დეცენტრალიზაცის. რ. ა. გაშმაგებული გვიძახის: როგორ გაბედეთ და დაჰგმეთ ცენტრალიზმი!? იგი ბოროტება კი არა, სოც. დემოკრატიის პრინციპიაო!.. აქ (ე. ი. ჩვენს წერილში) აშკარაა არეულია ორი სხვა და სხვა მცნება (ე. ი. ადმინისტრატიული და პოლიტიკური დეცენტრალიზაცია) პირველი გვარის დეცენტრალიზაცია სრულიადაც არ ეწინააღმდეგება პოლიტიკურ ცენტრალიზაციას, პირიქით, გულისხმობს მას და ჩვენ მისი წინააღმდეგი არაფერი გვაქვს.“ („ხომლი“ № 26) ასე ფილოსოფოსობს რ. ა. ჯერ ერთი, რომ ჩვენს წერილში „ორი მცნება“ არამც თუ ერთმანეთში არეული არ არის, პირიქით, ხაზგასმით ნაჩვენებია მათი ძირითადი განსხვავება, ნათქვამია, სხვათა შორის, რომ ადმინისტრატიული დეცენტრალიზაცია რუსეთში ვერავითარ ნაციონალურ საკითხს ვერ გადასწყვეტს, რომ ამისათვის აუცილებლათ საჭიროა პოლიტიკური დეცენტრალიზაცია, ე. ი. ავტონომიები განაპირა ქვეყნებისათვის. მეორეც, მტკნარი, ბავშვური შეცდომაა, ვითომ პოლიტიკური ცენტრალიზაცია თავისთავად იგულისხმებდეს ადმინისტრატიულ დეცენტრალიზაციას; ავრე რომ ყოფილიყო, ხომ ამ ასი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა მოკლებული არ იქნებოდა ყოველგვარ თვითმართველობის ნატამალს. რუსეთში კი დიდხნიდანვე არსებობს პოლიტიკური ცენტრალიზაცია, მაგრამ ნამდვილათ, ცენტრალიზაცია არამც თუ თავისთავად არავითარ თვითმართველობას არ იგულისხმებს, პირიქით, იგი, თვისი უკიდურეს ფორმით, როგორიცაა დღევანდელი ჩვენებური ცენტრალიზმი, უარყოფა ყოველნაირ თვითმართველობისა, როგორც ადმინისტრატიულის, ისე პოლიტიკურისა: ასე რომ, ვინც კი ცენტრალიზმს ეთაყვანება, ვითარცა პრინციპს საყოველთაოს, იგი უეჭველათ იძულებულია —თუ კი ლოღიკას არ უღალატებს—იძულებულია ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის წინ წამოიჩოქოს და ბიუროკრატიულ ცენტრალიზმს გასისხლიანებულ ტუჩებში ეამბოროს.

რ. ა. დიდი წინააღმდეგია პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის, ე. ი. ავტონომიებისა. აქვე შევნიშნოთ, რომ რ. ა.-ს ყალბათ წარმოდგენილი ჰქონდა, ვითომ რუსეთში მცხოვრებ ყველა ნაციისათვის ვითხოვდეთ „ეროვნულ პოლიტიკურ ავტონომიას“,— როგორც ამბობს თვითონ—ანუ ნაციონალ-ტერიტორიალურ ავტონომიას,—როგორც ვიტყოდით ჩვენ. სად და ვისთვის როგორ ავტონომიას ვთხოულობთ, ეს უკვე აღვნიშნეთ წინა წერილებში და აქ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. რ. ა. იმ უმთავრეს მოსაზრებით არის წინააღმდეგი ავტონომიისა, ვითომ ეს უკანასკნელი ანაცვალებდეს მუშა ხალხს განსაკუთრებული კანონების შექმნით. „ავტონომიური სახელმწიფოები (?)—სწერს იგი—ყველგან წარმოადგენენ ზღუდეებს, რომლის გადაცილება კავშირებისათვის დიდ სიძნელეს წარმოადგენს“ (იქვე). როგორც ერთ წინა წერილში უკვე შევნიშნეთ, კანონების ერთ-იგივეობა დიდათ სასარგებლო და სასურველია, სასურველია მთელ დედა-მიწის ზურგზე ერთი და იგივე კანონები იყოს შემოღებული, მაგრამ ეს მხოლოთ იმ აუცილებელი პირობით, თუ ყველგან ერთი და იგივე იქნებოდა სოციალ-ეკონომიურ-კულტურულ-ნაციონალური ვითარება; წინააღმდეგ შემთხვევაში კანონების ერთ-იგივეობა ნიშნავს პრივილეგია-უპირატესობასა და ბატონობას ერთი მხრივ და ჩაგვრა-მონობას, მეორე მხრივ. ნაციონალური ბატონყმობა კი იწვევს ამ ნაციათა მუშა ხალხის ისეთ განცალკევებას, რომელსაც ავტონომიის კანონთა სხვა-დასხვაობის უხერხულობა ისევე ვერ შეედრება, როგორც ცამდის აყუდებულ ბუმბერაზ მთას ვერ შეედრება ერთი მუჭა მიწის გოროხი. ავტონომიების არსებობა რომ ვერ აბრკოლებს მუშათა ორგანიზაციების შეერთებას, ამას კარგათ მოწმობს ყველა დაწინაურებულ სახელმწიფოთა პოლიტიკური ცხოვრება. არამც თუ ავტონომიური მიჯნები, — რაიც სრულიადაც არ ნიშნავს სახელმწიფოს დამლასა და მის ნაწილთა განცალკევებას, როგორც ეს წარმოუდგენიათ ამხ. რ. ა.-ებს— თვით სახელმწიფოთა საზღვრებიც წინ ვერ უდგება მუშათა კლასის ინტერნაციონალურ ერთობასა და სოლიდარობას. ასე მაგ. თვით უპარტიო პროფესიონალური კავშირებიც კი ახერხებენ ინტერნაციონალურათ შეერთებას — **სახელმწიფოთა საზღვრების მიუხედავათ**. ასეთია, სხვათა შორის, მთა-მადნის მაღაროების პროფესიონალური ორგანიზაცია, რომელიც სისტემატიურათ ახდენს საერთაშორისო კონგრესებს, რომელზედაც ესწრებიან ამ პროფესიის მუშათა დელეგატები ყველა, თანამედროვე სახელმწიფოებიდან. იქ იმუშავებენ საერთო მოთხოვნებს, ბრძოლის საერთო გეგმას, თავ-თავიანთ ქვეყნების პარლამენტებზე ერთსა და იმავე დროს იერიშით მისვლას და სხ.

რ. ა—ს კიდევ სხვა „არგუმენტებიც“ მოჰყავს ავტონომიის წინააღმდეგ. წარმოვიდგინოთო—ღაღადებს იგი—რომ პოლონელებსა და ყველა სხვა ნაციებს უკვე განუხორციელებიათ ავტონომიები და მერე „ვანა ეს ხელს შეუშლის პროვაკატორულ (შოვინისტურ) აგიტაციის გავრცელებას? პირიქით, ის (ავტონომია) კიდევ უფრო შეუწყობდა მას ხელს. მაშინ ეკვი არაა, პოლონელი შოვინისტები (რ. ა. წინააღმდეგია, როგორც პოლონეთის, ისე ყველა სხვა კუთხეების ყოველნაირ ავტონომიისა) მათ (უცხო ერის მუშების) თავის საავტონომიოდან განდევნას უქადაგებდენ მუშებს: ლუკმა-პურს ნუ გვარჩევენო. ამნაირათ, სარწმუნოებრივ წინააღმდეგობაზე ეროვნულ სახელმწიფოებრივსაც დაურთავდენ. ცხადია, მიზანიც (მუშათა მტრებისათვის) მაშინ უფრო ადრე და უფრო ადვილი მისაღწევი იქნებოდა“... ამზე უფრო კიდევ ბრიყული უვიცობა ჩვენ ძვირათ შეგვხვედრია პრესაში. რ. ა.-ს მეხსიერებიდან

ეკარგება პოლიტიკურ ეკონომიის საანბანო ცნობები და მას ამ შემთხვევაში ავიწყდება მარქსიზმის დედა-აზრებიც. ნეტა როდის იყო, რომ ცალკე სახელმწიფოს ანუ რომელიმე ავტონომიურ კუთხის ბურჟუაზია ცრემლებს აფრქვევდა იმის გამო, რომ სამუშაო ბაზარს მრავლათ აწყდება სხვა და სხვა ერის მუშებიო? განა, პირიქით, იგი მუდამ არ ნატრობს და მუდამ ხელს არ უწყობს ასეთ მდგომარეობას? განა იგი აქ არა ჰპოებს ადვილ საშუალებას მუშათა ყველეფა-ექსპლუატაციის გასაძლიერებლათ? მაგრამ ავტონომიის წინააღმდეგ ბრძოლით გატაცებული რ. ა. ვერა ხედავს იმას, რაც ყველა მიუდგომელ მეთვალ-ყურისათვის თავის-თავათ აშკარა არის.

რ. ა. მოგვითხრობს, რომ ავტონომიის დროს მუშები თავის კუთხის საკანონმდებლო ორგანოს მიმართავენ ხოლმე მოთხოვნით „უცხო ერის მუშები არ შემოუშვათ ჩვენს ქვეყანაში, რადგან ისინი კონკურენციას გვიწევენო“. მუშათა ასეთი მიდრეკილება მუდმივი და ნორმალური მოვლენა იქნებოდა, რომ სხვა და სხვა ერის მუშათა შორის ნამდვილათ არსებობდეს გარდაუვალი ხრამი და ინტერესთა წინააღმდეგობა; მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ნამდვილათ აქ არავითარ წინააღმდეგობას ადგილი არა აქვს. სხვა და სხვა ერის მუშათა მუდმივი ინტერესები ჰარმონიულათ ეთანხმება ერთმანეთს, თან შორის მოციქული უნდა იყოს კლასიური სოლიდარობა. მუშების ზემოაღნიშნული წინააღმდეგობა-შეტაკება მომდინარეობს მხოლოთ იმ გარემოებიდან, რომ კულტურულათ უკან ჩამორჩენილი და ყოველ მხრივ დაბეჩავებული მუშები ავტონომიის დაწინაურერებულ მუშებს ეკლინებიან „შტრეიკბრეხერებათ“ (ამ ხანაგური პირის გამტეხათ, გაფიცვების ჩამშლელათ) და საერთოთ შრომის პირობების გამაუარესებელ—გამათახსირებლათ. და მერე განა ასეთ შემთხვევებისათვის არა სჯობია მუშები ისევ საკანონმდებლო ორგანოს მიმართავდენ, ვინემ კეტებს თუ ქვებს აიღებდენ და ერთმანეთს თავ-პირს დაამტვრევდენ ანუ იარაღით გაისწორებდენ ანგარიშს? მეორე მხრივ, თანამედროვე ცხოვრების პირობებთან ცოტათ თუ ბევრათ გაცნობილისათვის აშკარა უნდა იყოს, რომ მუშათა აღნიშნულ შეტაკებაში ავტონომიას არავითარი ბრალი არ მიუძღვის, აქ არც ეროვნული საკითხი და არც ავტონომია არაფერ შუაში არ არის. ერთ მშვენიერ დღეს რომ ყველა ავტონომიები მოსპოთ კიდეც და თუნდა სახელმწიფოთა საზღვრებიც გააუქმოთ, ამით აღნიშნულ მოვლენას ვერაფერ წამალს ვერ დასდებდით, პირიქით, საქმეს უფრო გააუარესებდით, რადგან ქვეყნიერობის განვითარება და მაშასადამე პროლეტარიატის წინ მსვლელობაც შეფერხდებოდა. სხვა და სხვა ერის მუშა ხალხის გაერთიანება ძალით, კანონის საშუალებით თუ მექანიკურათ ნამდვილათ ნიშნავს მათ სასტიკ განცალკევებას (გაიხსენეთ თუნდა პოლონეთის და რუსის მუშა ხალხის ურთიერთობის ისტორია). შრომის ბაზარზე მუშათა შეტაკება ხდება არა მარტო სხვა და სხვა სახელმწიფოსა და ავტონომიის მუშათა შორის, არამედ აგრეთვე ერთსა და იმავე სახელმწიფოსა თუ ავტონომიის მუშათა შორისაც. და ეს მოვლენა წინ გვედგება იმ დრომდე, სანამ ერთი ნაწილი მუშებისა იქნება კულტურულათ უკან ჩამორჩენილი და დაბეჩავებული ყოველ მხრივ, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი უკვე თვალსაჩინოთ დაწინაურებული და შრომის უკეთესი პირობებითაც სარგებლობს. დასახელებულ წინააღმდეგობა-შეტაკებათა თავიდან ასაცილებლათ საჭიროა მუშათა გაცნობიერება, საჭიროა მათი პროფესიონალურ და კლასიურ ორგანიზაციათა გაფართოება-განმტკიცება... აქ ჩვენი უებრო მოკამათე რ. ა. სიტყვას გვაწყვეტინებს და შუბლზე თით მიბჯენილი ბრძნულათ გვაუწყებს: მაშასადამე, მხოლოთ მუშათა კლასობრივი გაცნობიერება სწყვეტავს ეროვნულ საკითხს, იგი სპობს ყოველგვარ ეროვნულ შუღლსა და მტრობას; შოვინისტურ აგიტაციის მაგნე შედეგებსაც „ფრთას აკვეცს ღრმა შეგნება მუშათა კლასობრივ ინტერესებისა, მათი კლასობრივი სოლიდარობა, რომელსაც ს. დ. ქადაგებს და უღვივებს მათ გულში. „ჩვენი კვალის“ ხელმძღვანელნი კი ფიქრობენ, რომ ასეთ შუღლსა და მტრობას მუშებ შორის, მათზე ხელოვნურ აგიტაციის გავლენას ბოლო მოეღება ავტონომიის შემოღებითო“. სწორეთ ხელის-ხელ საგოგმანებელია რ. ა. ეს სტრიქონები!..

მუშა ხალხის კლასიური გათვითცნობიერება ბოლოს უღებს არა მარტო ეროვნულ შუღლსა და მტრობას მუშათა შორის, არამედ აგრთვე ბოლოს უღებს თვით კლასიურ საზოგადოებასაც და ანხორციელებს ძმობა-ერთობის სუფევას, სოციალიზმს. მაგრამ საკითხი, საჭირ-ბოროტო საკითხი სწორეთ ის არის, თუ როგორ მოვაწყოთ საქმე ისე, რომ შეიძლება, დავაჩქაროთ ეს პროცესი, დავაჩქაროთ და გავაადვილოთ მუშათა კლასიურ ცნობიერების განვითარება და მათი ძალების ორგანიზაცია. როდესაც კლასიურ სოლიდარობას ვუქადაგებთ დაჩაგრულ და გაბატონებულ ნაციათა მუშა ხალხს, ეს ქადაგება მათთვის უფრო ძნელათ მისაღებია, ვიდრე იმ მუშათათვის, რომელთა შორისაც არავითარი ნაციონალური განსხვავება არ არსებობს ანუ გამეფებულია ნაციონალური თანასწორობა. ამას, მგონია, განმარტება არ ესაჭიროება; როდესაც დაჩაგრულ ნაციის ბურჟუაზია თავის ერის მუშებს მიუთითებს ნაციონალურ ჩაგვრა-მონობის აშკარა და აღმაშფოთებელ ფაქტებზე, მუშებს—თუ კი შესწევთ გულწრფელობა და გონებითაც სრულათ არ არიან დაბრმავებულნი—არ შეუძლიანთ უპასუხონ: სცრუობთ, ბურჟუებო, რადგან ეს სიყალბე იქნებოდა; და როდესაც ესევე ბურჟუები მიმართავენ იმავე მუშებს წინადადებით ჩაეწერონ მათს (ბურჟუების) პარტიაში, რომელსაც მიზნათ დაუსახავს აღნიშნულ ნაც. ჩაგვრა-მონობის მოსპობა, მუშები—რა თქმა უნდა—მიდრეკილნი არიან ჩაეწერნენ მოწინააღმდეგეთა პარტიაში და ჩაეწერებიან

კიდეც, თუ კი არ შესწევთ საკმაოთ ნათელი და მტკიცე კლასიური შეგნება. და რომ ასეთი შეგნება ყველა მუშებს არ მოეპოვებათ, ეს, მგონია, ჩვენმა რ. ა.—ებმაც უნდა იცოდენ და მუშათა დაქსაქსვა ბურჟუაზიულ პარტიებში მით უფრო სწრაფათ მოხდება, თუ საკუთარი კლასიური პარტიის, ს. დ. ზოგი წევრები იმდენათ გაუკლმართებულან, რომ ნაციონალურ საკითხს ბურჟუაზიის საქმეთ აცხადებენ, და ავტონომიის წინააღმდეგ იმის მეტს ვერაფერს ახერხებენ, რომ „ქადაგივით“ გაიძახიან: ეგ „ძველი“ საქმეა, ეგ „ბატონ-ყმობის“ აღდგენას ნიშნავსო და სხ.

ყველა ზემო ნათქვამს ისიც დასძინეთ, რომ დაჩაგრულ ერში შეზღუდულ-შებორკილია ნაციონალური სწავლა-განათლება და მთელი სულიერი კულტურა, რაიც ნიშნავს თვით მუშათა კლასის გონებრივ-ზნეობრივ შეზღუდვას და მაშასადამე მათ კლასიურათ გაცნობიერების საქმის გაძნელებას. აი ყველა ამ მავნე პირობების მოსასპობათ საჭიროა ნაციას მიენიჭოს თვითმართველობის უფლება, საჭიროა მიეცეს უტყუარი გარანტია მას ნაციონალურ-კულტურულ-ეკონომიურ ძალთა განსავითარებლათ. აი ასეთ გარანტიას, ჩვენი ქვეყნისთვის, დღევანდელ რუსეთში, წარმოადგენს ავტონომია და ამიტომ შეგვაქვს იგი ჩვენს პროგრამა-მინიმუმში და ვითხოვთ ამის განსახორციელებლათ ბრძოლას როგორც რუსეთის პარლამენტში (სახ. დუმაში), ისე მის გარეთ.

დიახ, ავტონომია ჩვენთვის ერთ-ერთი და მასთან აუცილებელი საშუალებაა მუშათა კლასის გაცნობიერებისა და მის ძალთა ორგანიზაციის **გასაადვილებლათ**. იგი საშუალებაა, რათა დაჩაგრულ ერის მუშა ხალხიც სრულ-უფლებიან წევრად შევიდეს პროლეტარიატის საერთაშორისო არმიაში და მით ეს უკანასკნელი უფრო ძლევამოსილათ ამოძრავდეს სოციალიზმისაკენ.

სხვა-და-სხვა ამბები
ჩ ვ ე ნ შ ი

ბელაგორი. მდგდუბის ექსპროპრიაციაა. ჩვენს მეზობელ სოფელს „ამაშუკეთს“ სწორეთ უბედურება შეემთხვა. მას 8 სექტემბერს შანტაჟისტური მოსაზრებით მოსტაცეს ორი მღვდელი და უგზო-უკვლოთ გადიკარგენ. ადმინისტრაცია ფეხზე დდგა და შეუდგა კვლევა-ძიებას, რის ვაი-ვაგლახის შემდეგ საზოგადოების დახმარებით მიაგნეს ბოროტ-განმზრახველთა ბინას, გაიმართა სროლა. ერთი შანტაჟისტთაგანი დაიჭრა, რომელიც ამ ხანაგებმა მაინც არ დასტოვეს, მღვდლები კი დაატოვებინეს.

— გაზ. „ბაკუ“-ს ცნობით მართლდება ის ხმა, რომ კავკასიაში სენატორის რევიზია ინიშნება. კავკასიაში უნდა ჩამოვიდეს სამი სარევიზიო კომისია, რომელიც ამიერ და იმიერ კავკასიას სრულ რევიზიას გაუკეთებს. ამავე დროს პეტერბურგს წავლენ ნამესტნიკის წარმომადგენლები, რომელნიც სახელმწიფო სათათბიროში დაიცავენ ნამესტნიკის მიერ წარდგენილ კანონ-პროექტს.

— მკითხველებს ეხსოვებათ, რომ შარშან დუშეთის მაზრაში დამშეულ ხალხს ფქვილი დაურიგეს. ეხლა მთავრობას ტომრების ფული შეუწერია ხალხისთვის— ტომარზე 50 კაპ., რადგან ტომრები თავის დროზე არ წარუდგენია ხალხს. ამრიგათ დუშეთის ახლოა-მახლო სოფლებზე შეწერილია 59 მან. („ამ.“).

— დუშეთის მაზრის ს.ს. ქსოვრისსა და ლამის-ყანაში ეგზეკუცია არის ჩაყენებული. თხოულობენ რატიშვილის მკვლელს, ნიკო სუხიშვილის გაცემას. მას დიდი ხანია სდევნის პოლიცია, მაგრამ ჯერ მაინც ვერ შეუპყრია. („ამ.“).

— ამ დღეებში შეუდგება „ოლღას საბებიო ინსტიტუტის“ რევიზიას განსაკუთრებული კომისია, რომელიც დანიშნულია ნამესტნიკის მიერ.

— გენერალ-გუბერნატორის დადგენილებით დაიხურა სამხედრო წესებს მოხსნამდე შემდეგი გაზეთები: ქართულ ენაზე—„ნიშადური“, რუსულ ენაზე —„ტორგოვაია გაზეტა“ და „ტიფლისსკია ნოვოსტი“.

— როგორც ქუთაისიდან იტყობინებიან, 16 სექტემბერს სახალხო სკოლების ინსპექტორის ბინაში უცნობმა ბოროტგანზრახველებმა შეაგდეს ყუმბარა. არავინ დაშავებულა. ბოროტგანზრახველები მიიმალენ.

— 16 სექტემბერს დასრულდა **ზუგდიდის რესპუბლიკის საქმის** გარჩევა, რომელსაც ქუთაისში დახურულ კარებში აწარმოებდა თფილისის სამოსამართლო პალატის სესია. პასუხის გებაში იყო მიცემული 19 კაცი. 5 კაცი სრულიად გამართლდა, რვას მიესაჯა გადასახლება; ამასთანავე სასამართლომ დაადგინა, რომ გადასახლებულთ თუ სურთ იშუამდგომლონ სადაც ჯერ არს, რომ გადასახლება ერთიდან ერთ-ნახევარ წლამდე გამასწორებელ სახლში დაპატიმრებით შეეცვალოთ. ხუთ ბრალდებულს მიესაჯა ორიდან ორ-ნახევარ თვემდე ციხე.

— ქ. თფილისში ჩამოვიდა მესკრიპკე დავიდ დავიდიანი, რომელმაც სამუსიკო განათლება მიიღო ბრიუსელის კონსერვატორიაში ცნობილ პროფესორ ტომსონთან. კურსის გათავებისათანავე ბ-ნი დავიდიანი მიწვეულ იქმნა პროფესორათ ეტერბეკის მუსიკალურ სკოლაში (ბრიუსელის ფობერგი).

ბ-ნი დავიდიანი და პიანინოს დამკვრელი ბ-ნი ქართველიშვილი ახლო მომავალში აპირებენ ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა მხარეს გაკეთონ არტისტიული ტურნე. ბ-ნი დავიდიანი ამ ჟამათ სკრიპკის კერძო გაკვეთილებს აძლევს მსურველთ. მისი ადრესია: ნიკოლოზის ქუჩა, № 75. თფილისი.

— 7 აგვისტოდან 18 სექტემბრამდე თბილისში ხოლერით ავათ გამხდარა 93 კაცი. ამათგან 60 უკვე გადაცვლილა.

რუსეთში.

სიკვდილით დასჯეს: ვორონეჟში—ერთი, რიგაში—ერთი, პროსკუროვოში—ორი, სარატოვში—სამი.

— სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: სარატოვში—ერთს, ვარშავაში—ორს, ნიჟნი-ნოვგოროდში—ორს, კიევში—რვას, ვარშავაში—რვას.

(„რეჩი“ №№ 215—218).

— გაზ. „კიევ. ვ.“ დაჯარიმეს 150 მან.

— პავლოვის სამხედრო სასწავლებელში ხოლერით ავათ გახდა 43 იუნკერი.

— სოფ. ოზერკაში (სარატ. მაზრა) გლეხებმა უარი განაცხადეს ქადაგების ყურის გდებაზე, რადგან მასში საშინლათ ლანძღავდენ ლ. ნ. ტოლსტოის. გლეხები საყდრიდან კარში გამოვიდენ. ქადაგება მღვდელმა ძალა-უნებურათ შესწყვიტა.

— გაშინჯეს ხელახლათ პროგოვის ექიმთა საზოგადოების გამგეობის კანტორა.

— „რეჩ“-ის სიტყვით მოსკოვში დაუჭერიათ დეკემბრის აჯანყების ერთი უმთავრესი მონაწილეთაგანი, რომელიც ცხოვრობდა „ვეტროვის“ გვარით.

— მოსკოვის მაძიებელმა პოლიციამ დააპატიმრა ქურდების ბრბო, რომელნიც სისტემატიურათ იპარავდენ ტელეფონის მავთულებს. ქურდების მეთაური აღმოჩნდა „გოროდოვოი“. უკანასკნელი მთელი თავისი ოჯახით მონაწილეობას იღებდა თურმე ქურდობაში.

— ჟანდარმების კორპუსის შესანახათ მაკავრობას გადაუდია 14.578,506 მან. 1909 წლ., 978,884 მან. მეტი, მინამ 1908 წ.

— ხმები დადის, რომ სახალხო განათლების მინისტრი თავს ანებებს თავის თანამდებობას და ინიშნება სახელმწიფო საბჭოს წევრათ.

— სევასტოპოლში პოლიციამ ერთს სახლში ჩხრეკის დროს იატაკის ქვეშ აღმოაჩინა აუარებელი იარაღის საწყობი, ასაფეთქებელ ნივთიერებათა გასაკეთებელი მაშინა, ყალბი პასპორტები, ბროშურები და ბეჭედი სოც.-რევოლიუციონერებისა. დაპატიმრებულია ორი კაცი

— მიუხედავათ იმისა, რომ 1-ლ სახელმწიფო დუმის სამს დეპუტატს, დაპატიმრებულთ ვიბორგის მოწოდების გამო, შეუსრულდათ ქ. კიევის ციხეში სამ-სამი თვე, ისინი არ გაანთავისუფლეს. დაპატიმრების ვადა გაგრძელებულ იქმნა ერთის თვით.

— სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა 1909 წ. უდრის 4.695,420 მან.

— ნოვოროსიის ქალაქის თვითმართველობის ხმოსნები, სამოსამართლო პალატის გადაწყვეტილებით, დათხოვნილ იქმნენ თანამდებობიდან, რადგან მათ შემწეობა აღმოუჩინეს გაფიცულ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს.

— მელიტოპოლში 8 სტრაჟნიკს, რომელთაც ბრალათ ედებოდათ პატიმართა გალახვა და ხოცვა, აგადუწყვიტეს კატორგაში მუშაობა 4—6 წლ.

—ვარშავაში გაიხსნა რვა კლასიანი კომერციული სასწავლებელი ებრაელებისა. სხვა საგნებთა შორის ისწავლება ძველი ებრაული ენა, ლიტერატურა და ისტორია.

— ხერსონის გუბ. სახელმწიფო დუმის დეპუტატათ აირჩიეს გრაფი ვლ. ვას. სტენბოკ-ფერმერი, ზომიერი მემარჯვენე.

ოსმალეთი.

ძველი რეჟიმის დროს ოსმალეთში არ არსებობდა არავითარი მუშათა ორგანიზაცია, და არც ისმოდა მუშათა კოლექტიურ გამოსვლაზე. დადგა სანატრელი დრო, ჰაერში აფრიალდა ნაციონალური დროშა, მოიხიბვლელი ზე-წარწერით: **„თავისუფლება, თანასწორობა, სამართლიანობა, ძმობა“**, და გაისმა მომაჯადოებელი ტანჯული ერის ხმა: „გაუმარჯოს კონსტიტუციას!“

მრავალტანჯულმა ოსმალეთის სხვა-და-სხვა ერებმა ოდნავ თავისუფლათ ამოისუნთქეს ჯერ, როგორც ტოროლა მზის პირველ სხივებზე, დაფრთხენ, მაგრამ მალე ყველა ჩაება საზოგადო მხიარულების ფერხულში და დაიწყო საზოგადოების ჯგუფებათ დაყოფა ინტერესებისა და მიხედვით.

გაღატაკებული და გაძვალტყავებული მუშებიც გაიმართა წელში, და შეუდგენ თავიანთ გაკიცრებულ ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობას. ამ ორი უკანასკნელი თვის განმავლობაში, რამდენიმე სინდიკატი და კავშირები დაარსდა. უწინარეს ყოვლისა ამ ორგანიზაციებმა პოლიტიკურ პირობების გაუმჯობესებასთან, მიზნათ დაისახეს ეკონომიურის გაუმჯობესებაც. საზოგადოთ ოსმალეთის დიდ ქალაქებში ცხოვრება არაა ძვირი, სულ რაღაც 8 პიასტრა (55 კაპ) ჯდება, მაგრამ უბრალო მუშას არ შეუძლია ეს დაკმაყოფილოს. ის ღებულობს დღეში 55 კაპეიკზე უფრო ნაკლებს. ოსმალეთის ყველა დიდი ქარხნები და რკინის გზები აძლევდენ თავიანთ მუშებს ღატაკურ ქირას, და არც დაუარსებიათ მუშებისათვის საპენსიო კასები აუცილებელ საჭიროებისათვის, ამისთვის საკვირველი არაა თუ რკინის გზის მუშებმა გაფიცვების დროს წამოაყენა სამი უმთავრესი მოთხოვნა: 1) სამუშაო ხელფასის გადიდება, 2) დამატებითი დაჯილდოება ხანგრძლივი სამსახურისათვის, 3) საპენსიო კასისს დაარსება.

მუშები თავიანთ მოთხოვნებს იმუშავებენ ერთათ საზოგადო კრებებზე; პოლიცია „არ ერევა კრებაში და ხელს არ უშლის. შემდეგ მოთხოვნებს უგზავნიან კომპანიებს, „ერთობისა და პროგრესის კომიტეტს“ და პრესას.

თუ მუშების მოთხოვნები არ დაკმაყოფილა კომპანიამ მაშინ, „ერთობისა და პროგრესის კომიტეტი“ ერევა საქმეში.

ჯერ ყველა გაფიცვები მუშების სასარგებლოთ თავდება. უნდა შევნიშნოთ, რომ ჯერ-ჯეროობით საზოგადოებისა და პრესის სიმპატია და თანაგრძნობა მუშების მხარესაა. „ახალმა რეჟიმმა,-სწერს ერთი ოსმალური გაზეთის პუბლიცისტი ალი-ნამიჯი,— გაადვილა მასსაში დიდებული იმედები, გარდაშალა მათ წინ მომხიბლველი ცისკიდე. არ შეიძლება მოატყუილოთ ეს მოლოდინი, „განუსაზღვრელი და გაუბედავი პოლიტიკით“. უბრალო ხალხი ვერ გაიგებს პრტყელ პრტყელ სიტყვებს ძმობისა და თავისუფლებაზე, თუ ეს არ იქნება შეერთებული მის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან“.

მაშ ასე, პრესა და „შეერთებისა და პროგრესის კომიტეტი“ თანაუგრძნობს მუშებს და იღებს ყოველივე ზომებს, რომ გაუმჯობესდეს მუშების მდგომარეობა. მაგრამ ცდილობს იმავე დროს არ გამწვავდეს მდგომარეობა ევროპასა და სტამბოლს შორის, რადგან რკინის გზების ექსპლუატაცია ევროპიელ კაპიტალისტების ხელშია.

უნდა შევნიშნოთ, რომ მუშათა მოძრაობა ოსმალეთში განსხვავდება იმ ერთგვარი სიფთხილით, რომელსაც უკარნახებს ოსმალეთის მდგომარეობა და შეადგენს ოსმალეთის რევოლიუციის განსაკუთრებულ თვისებას.

— ახალგაზდა ოსმალთა ბელადმა საბა-ედინმა წაიკითხა რეფერატი ოსმალეთის პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ. მთელი სტამბოლი გულის ფანცქალით მოელოდა მისგან ნაციების შესახებ რამე ახალის თქმას, მაგრამ თავის ამხანაგებს არ გაშორდა ბევრით. ის, როგორც სხვები, საშინელი, წინააღმდეგია რომ ოსმალეთის სხვა და სხვა ნაციებს მიენიჭოს ავტონომიური მართველობა. ის იცავს ოტომანის იმპერიის „მთლიანობას“, და აღიარებს ადმინისტრაციის დეცენტრალიზაციას. ახალგაზდა ოსმალნი თავიანთ ბელადებით ნაციონალურ კითხვაში რუსეთის „ზუბრებზე“ შორს ვერ მიდიან, მაგრამ ცხოვრების ლოგიკა მათ შეხედულებას დაამსხვრევს და დაუმტკიცებს, რომ ოტომანის იმპერიის მთლიანობა თუ შესაძლებელია ეს მოხდება მაშინ, როდესაც ოსმალეთში მცხოვრებ ერთ მიენიჭება ავტონომია, რომ თავიანთ ეროვნული საქმე თვითონ აწარმოვონ.

სპარსეთი.

თავრიზი. სამი დღის უქმათ სროლამ დაამტკიცა დამსჯელი ექსპედიციის, რომელიც შესდგება გაუწვრთნელი ველურებისაგან, სისუსტე და უარგისობა. ქალაქში პური. არაა. პურის შემ-ტანა ახლო-მახლო ადგილებიდან აკრძალა ეინ-ედ-დოულემ. (П. А.).

— ქერბულაში გამოაცხადეს საღვთო ომი შაჰის წინააღმდეგ, იმისთვის, რომ არ სურს მას შემოიღოს კონსტიტუცია. გაიმართა დიდი მიტინგი. სპარსეთის ქვეშევრდომთა მაღაზიები დაიხურა.

— შაჰმ გაუგზავნა ეინ-ედ-დოულეს მუქარის დეპეშა. აბრალებს მას ნაციონალისტობის მხარის დაჭერას და ხალხის მხარეს გადასვლას.

— ინგლისში ღრმათ აღელვებულნი არიან შაჰის მოქმედებით, განსაკუთრებით მისი გამომწვევ დამოკიდებულებით ინგლის-რუსეთის ნოტასთან. გაზეთები თხოულობენ მთავრობიდან უფრო მეტ ენერგიულ ზომებს.

საგულისხმოა, რომ ზომიერი „ტაიმსი“ უწოდებს შაჰის უსირცხვილოს და ემუქრება სპარსეთის მონარქს, რომ ის უნდა მოელოდეს ეხლა გარეშეთა უფრო ენერგიულ ჩარევას. სპარსეთის ხალხს დაეხმარება უცხოეთის სახელმწიფოები კონსტიტუციის დასაცველათ.

*
* *

სალამი, თქვენ!..
ბრძოლის ველზე მიმაცათ მდგომნო,
სიუკუნობით განაწამნო,
დამონებულნო!
შურის ძიების დაუნდობელ
შეხის მფრქვეველნო,
ოფოარ ტიარანზე, მძარცველებზე
განრისხებულნო!
ჭოი, სპარსელნო! გმირთ რაზმებო
მოძმენო ჩვენნო,
დადგება, ძლევა თქვენს ემბლემას
ამაყათ გაშლიელს,
თქვენს გმირულს ბრძოლას!
მტრის შემუსვრას, ირანის ძენო!
სალამს მოგიძღვნიო,
მჩაგვრელთადმი ამხედრებულნო,
ქარიმს

ელ-ველვეთ
შეშინებ ზღვასებრ ანზეირთებულნო!

ქუჩიშვილი.

მ უ ნ ა ა.

შორს, შორით ვხედავ საოცნებო სამფლობელოში ცხოვრების სურათს, აგებულსა კეთილ შრომაზე; აყვავებულს ნეტარებით, სიხარულით, ბედნიერებით, შემკობილსა სილამაზით, თავლწარმტაცობით, მოჯადოებით და გაშუქებულს, განსპეტაკებულს შარვინდედის შუქ მომფენ სხივებით.

მესმის მისი ხმა, მოწოდება; მეც მას შევხარი, ველამუნები, მაგრამ ვერ ვხედავ, ვერც გზას, ვერც ბილიკს მისკენ მიმავალს, განათებულსა...

ჰოი, ცხოვრებავ სანატრელო, სათაყვანებო! ცხოვრებავ შრომის, სიყვარულის, სილამაზისავ! შენს სიკეკლუცეს, შენს სიდიადეს ერთ ვარდის კონას მეცა ვსტყორცნიდი, მაგრამ რა ვუყო, თვალთ ვერას ვხედავ: ბარს სიბნელეა, კუკუნათება...

მარჯვნივ წამოველ—სიმშილს ვეჯახე, მაზედ გა-

მიტყდა გულის ფიცარი! მარცხნივ წაეედი-უვიცობაზე, ვით სიპსა ქვაზედ შუბლი ვახალე; წინ გულქვაობა, მათზედ ნაკლები-რაც უკან დამხვდა. ვერ დავაღწიე თავი სიბნელეს, ვერ მოვაგენი მე შენსა გზასა...

ქვეყნის მნათობო ლაჟვარდოვანო, რა ხარ?—ცისკარი? შუქურ ვარსკვლავი? ან ბადრი მთვარე? თუ ლაპლაპა მზე? ამოდი ჩქარა, გაჰპანტე ბნელი! შენ გელოდები სულის კვთებით!..

შენსა შუქზედა ერთი-ორ წუთით იქნებ მეც შემხვდეს შრომა, სიცოცხლე!.. შენმა სხივებმა იქნებ გაათბონ ეს გაყინული გული, ხელები...

შენით გამთბარი ჩემი ხელები გაეპყრობიან ტანჯულ მოძმისკენ და თაიგულათ მას მიართმევენ ჩემსა სიყვარულს და თანაგრძნობას...

შენი სხივებით გამთბარი გული ერთხელ ხომ მაინც ამოიფეთქავს და ეს იქნება სხვა ჩაგრულთადმი მისი სალამი და გამარჯვება...

ამო ცისკარო, შუქურ ვარსკვლავო!..

ამოდი მთვარე!..

ამოდი მზეო!..

ლევ. მეტრეველი.

ბავშვი.

——

რამდენიმე ხნის წინად „პეტერბურსკაია გაზეტას“. გადათვალიერების დროს წავაწყდი ერთ ფრიად საყურადღებო, მაგრამ უყურადღებოთ დატოვებულს, ამბავს. პოლიციამ დააპატიმრა ორი ბავშვი, რომლებიც ღამე ცდილობდენ მდინარე ნევაზე მდგომ პატარა ორთქლ მავალი გემის აშვებას. ჩვეულებისამებრ ბავშვები წაიყვანეს საპოლიციო განყოფილებაში, და შეუდგნენ თუ რათ და რისთვის ცდილობდა ორი პაწია ბავშვი გემის აშვებას და ისიც ღამე, როდესაც მათი ტოლ-ბავშვები ბევრები ტკბილ ძილში არიან. ბოქაული სასტიკად შეეკითხა ბავშვებს, მაგრამ იმათმა პასუხმა, სისასტიკე უსაზღვრო სიცილად შეუცვალა, ბოქაულს და ოდნავ დატუქსული ბავშვები თავ-თავიანთ სახლებში გაისტუმრა. ბავშვებმა უპასუხეს: ჩვენ გვინდოდა ინგლისში წასვლა, იქ გამოჩენილი „**შერლოკხოლმსის**“ სასწავლებელში უნდა შევსულიყავითო.

აი... ამან გააცინა ბოქაული. შესაძლებელია მკითხველსაც ტირილი მოჰგვაროს ბავშვის ამგვარმა სიცელქემ, მაგრამ ეს სრულიადაც საცინელი არ არის. რა მოელის ბავშვს, ამ ნორჩს და გაურყვნელს არსებას, თუ იგი ათის წლიდან აპირობს „მძებნელთა“ სკოლაში შესვლას. რას უნდა მოელოდეს მშობელი?

ამგვარი შემთხვევა იშვიათი არ არის. ხშირად წაიკითხავთ: ბავშვებმა „ყაჩაღობა“ ითამაშეს და ამხანაგი „ჩამოახრჩესო“; ბავშვებმა „რევოლიუციონობა“ ითამაშეს და სახლს ცეცხლი წაუკიდესო. რატომ ხდება ესა? რას უნდა მიივაწეროთ ამგვარი ველური მიმართულება ბავშვების თამაშისა?

ნუ თუ ბავშვის ბუნებაშია ეს ველურობა? ნუ თუ ჩვენი მომავალი მოქალაქენი აკვნიდანვე-გარყვნილნი იბადებიან? არა, სრულიადაც არა. ჩვენ არ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ბავშვი დაბადებიდანვე ავიზნის იყოს; მაგრამ ბავშვის ნორჩი გონება სწრაფად ითვისებს აუსაცა და კარგსაც. მშობლები და აღმზდელნი არიან დამნაშავენი, თუ ბავშმა ავიზნე გამოჩინა. ბავშვი საკვირველად გრძნობს თვის დანაშაულს, და თუ მას იგი სიყვარულით და ალერსით აუხსენი, იშვიათათ განიმეორებს სიცელქეს.

პროფესსორი სიკორსკი ამაზედ შემდეგს მოგვითხრობს: „ჩემი პატარა ოთხის წლის ბავში, თამაშობდა სწორედ იმ ალაგას, სადაც ხელოსანი ელექტრონის სანათ შუშებსა სცვლიდა. ბავშმა უცაბედად გადმოაგდო და გასტეხა ერთი შუშა. ჩემს მოსცლამდე ბავშვი დიდათ იყო აღელვებული, მას ეგონა ამისთვის დიდი სასჯელი მოელოდა. როდესაც სახლში დავბრუნდი ბავშმა დაწვრილებით მიამბო თავისი თავგადასავალი და, სხვათაშორის, შუშის გატეხის ამბავიც. როდესაც დავამშვიდე, და ალერსიანად აუხსენი, რომ შუშის უცაბედათ გატეხა დიდი დანაშაული არ არის, ბავშმა მითხრა: „მეკი მეგონა ხელ-ფეხს შემიკრავდნენ და ციხეში გამაგზავნიდნენო. მიუხედავათ იმისა, რომ სრულიად დავამშვიდე ბავში და თითქმის სამმა თვე მაც განვლო ამშემთხვევის შემდეგ*), ერთხელ ბავშმა ფანჯრიდამ დაინახა ტუსაღები დარაჯების თანხლებით, და მომიბრუნდა: აი მეც ესე..

„რათა“; შევეკითხე.—შუშა რომ გავტეხე.. მიპასუხა ბავშმა“.

როდესაც აღელვებულმა ბაშმა მიმართა მამას და ალერსიანი ახსნის მაგივრად მამა რომ გაჯავრებოდა და ეცემა, ბავშვისთვის-რაც ძალიან ხშირად ხდება ხოლმე, მაშინ ეს იქნებოდა პირველი ნაბიჯი ბავშვის სიცრუის დაჩვევისა. იშვიათია ბავშვს არ ჰქონდეს იგივე სიმპატია საგნების მიმართ, რომელიც მის მშობლებს აქვს. ბავშვის ნორჩ ბუნების გაგება უფრო ძნელია, ვიდრე დადინჯებულის ადამიანისა. რა სიფრთხილე მართებს მშობელს ბავშვის აღზრდაში, ეს არა მგონია ბევრს ესმოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნებოდნენ ის შესაზარი მოვლენანი, რომელთაც მეტად და დიდი ალაგი უჭირავთ ჩვენს აწყოში.

თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ 7$_0$/$_0$ მაინც ჩვენის ბავშვებისა ან სრულიად უყურადღებოთ არიან დატოვებულნი, ან არა და დამახინჯებული ყურადღებაა მათზედ მიქცეული. ბავშვის ყოველივე საქცელი არის მხოლოდ შედეგი იმ მიზეზისა, რომელიც არასოდეს თვით ბავშვში არ იმყოფება, და მუდამ მის გარეშე მყოფია. გამოუცდელი მშობელი კი შედეგს აქცევს ყურადღებას, სტოვებს მიზეზს, რომელიც ხშირად მშობლისაგანვე წარმოდგება, და ამგვარად ადგენს თავის აზრს ბავშვზე.

ჩემს პატარა ნაწარმოებში მე მინდა ვაუწყო მშობელს თუ რა დიდი დანაშაული მიუძღვის მას ბავშვისადმი. როდესაც იგი იღვიძებს აზრიან ცხოვრებისათვის, მშობელი კი ხუმრობით და უყურადღებოდ ებყრობა, იმის ნორჩი გონების განთიადს. როდესაც ბავშვის გონება იღვიძებს და თავისუფლდება იმ ბურისისაგან, რომლითაც მოცული იყო რამდენიმე თვის განმავლობაში დაბადების შემდეგ. ბავშვის თამაშობა შეიძლება გაიყოს სამ ხანად, როგორც ამბობს პროფესსორი სიკორსკი: 1) თამაშობა, რომელიც უადგილებს ბავშვს სურათების და საგნების მკაფიოდ შეთვისებას; 2) სადაც ბავშვი თითონ სცდილობს გახდეს მომქმედ პირად—ამამოძრავებელ ძალად და 3) სადაც ბავშვი აღარ კმაყოფილდება ერთისა და იმავე მოძრაობის განმეორებით, ეძებს ახალს, რათა ახალმა ახალი შთაბეჭდილება იქონიოს მის ჭკუაზე.

პირველ შემთხვევაში, როცა ბავშვი ითვისებს რაიმე საგნის თვისებას, იგი განუწყეტლივ იმეორებს ერთსა და იმავეს. „მაგალითად ერთმა ბავშვმა 79-ჯერ მოხადა და დახურა ჩაიდანს ხუფი (სიკოსკი). ერთხელ და ორჯელ განმეორებული მოხდა ხუფისა იმდენად სუსტად იბეჭდებოდა ბავშვის ტვინში, რომ ბავშვს დას-

*) ბავშვს მაინც არ დაავიწყდა თვისი დანაშაული.

ჭირდა 79 ჯერ განმეორება ერთისა და იმავესი, რომ ეს თვისება ხუფისა და ჩაიდნისა სავსებით შეეგნო ბავშს. ამგვარ შემთხვევაში დედა ფრთხილად უნდა მოექცეს ბავშს, ხელი არ უნდა შეუშალოს ხშირად მოსაბეზრებელ ბავშვის საქციელს, უფრო უარესი —არ უნდა დასტუქსოს ბავშვი.

თუ ჩვენ ხელს არ შეუშლით და დავაცდით თითონ ბავშვმა შესწყვიტოს განმეორება რაიმე საგნის შეთვისების დროს, მაშინ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ბავშვმა შეიგნო ამ თუ იმ საგანის თვისება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ბავშვს ხელი შეუშალეთ, უგვიანდება შეგნება და იგი შიშის გამო აღარ ეტანება მისთვის საინტერესო საგანს. შემდეგ, მეორე ხანაში, როდესაც ბავშვი გარე მოძრაობის მიზეზათ გრძნობს თავის თავს, როდესაც იგი თავის „მეს“ გაცნობას მიჰყოფს ხელს, აქ მომეტებული სიფრთხილე მართებს მშობელს. ბავშვი ამოძრავებს სკამებს, ღონე მისაწდომ მაგიდებს და სხვა და სხვას. იგი გრძნობს თავის თავს ბატონათ ამ უძრავ ავეჯებისა, იგი სტკბება თავისის მოძრაობით, ითვალის წინებს თვის ძალიერებას. ამ დროს მას ესახება ხასიათი, თვითმოქმედება, თავისი „მე“. ეს იმდენათ თამაში არ არის, რამდენათაც შესწავლა თვისის შეძლებისა. ამ დროს დედამ ყოველივე ღონე უნდა იხმაროს, რომ ბავშვში აღძრას შეგნება მამოძრავებლისა. ეს ხანა არის მთავარი ღერძი ბავშვის მომავალ ცხოვრებისა; ამ დროს დედამ უნდა შეაგნებინოს ბავშს განსხვავება მის და უმოძრაო საგნების შორის. ამ განსხვავების შეგნება არასოდეს არ უნდა იყოს შეზღუდული თამაშის შეშლით, გაჯავრებით და რაც ყველაზე უარესია ცემით. უკანასკველ შემთხვევაში ბავშს ეჩაგრება თვით შეგნება, თვისი „მეს“ ძალა და იგი ვეღარ ხედავს განსხვევებას უმოძრაო საგანსა და თვის შორის.

მესამე ხანა, როდესაც ბავშვი თამაშობისათვის ახალ საგანს ეძებს, შემთხვევას აძლევს მშობელს ყოველივე ჩვეულებრივი მოვლენა გამოიყენოს ბავშვის გასართობათ. ჩვენდა სამწუხაროთ, ამ ხანაში ბავშვის ოთახს და მის ნორჩ ყურადღებას ავსებენ მზა მზარეულ ხელოვნურათ შექმნილ სათამაშოებით: ტიკინებით, ცხენებით, თოფებით, ხმლებით და სხვა. რა თქმა უნდა, ბავშს ქრელი და ლამაზი სათამაშოები აინტერესებს, მაგრამ გონების გახსნას უგვიანებს. მის წარმოდგენაში ყოველივე ცოცხალი, ჩვეულებრივი, ემსგავსება სათამაშოს: ტიკინს და ცხენს. არაფერი სტკივა, როდესაც მას სცემენ, ისინი არცა ყვირიან და ამ მოსაზრებით შეცული გონება ბავშვებისა მას ნებას აძლევს ცოცხალ საგანსაც სცემოს, უჩხვლიტოს თავის პაწიას და სკამიდან გადმოაგდოს, „თუ კი ტიკინს არა სტკივა!“ გიპასუხებთ ამ შემთხვევაში პაწია დესპოტი. მაგრამ თუ ჩვენ შევუდგებით ყოველდღიურ ჩვეულებრივ მოვლენათა ბავშვის შესათვისებლათ ლმობიერათ და გასაგებათ ახსნას, მალე მივაღწევთ, რომ ბავშვი ჩვენი ხელმძღვანელობით უფრო მეტათ დაინტერესდება, ვიდრე უაზრო ტიკინებისა და ცხენების თამაშით. ბავშვთან ამგვარის მოქცევით ჩვენ უფრო ადრე მივაღწევთ ბავშვის მაღალ გრძნობების გაღვიძებას. ამისათვის მშობელი უნდა ეცადოს ადრე დაინტერესოს ბავშვი ცხოვრების სერიოზული მხარით და არ დასტოვოს იგი დიდხანს მხოლოდ გართობასა და ნებივრობაში. მხოლოდ ერთი უნდა გვახსოვდეს, რომ მაგალითი და მხოლოდ მაგალითი არის ის ძლიერი ძალა, რომელიც ჰქმნის ნორჩი ბავშვის ხასიათს. უბრალო ქადაგება აჩვევს ბავშვს ადრე მომწიფებულ ტიკტიკს, ითვისებს მხოლოდ ფორმას აზრით და არა გრძნობით. შესანიშნავი მაგალითი მოჰყავს პროფესორ სიკორსკის, თუ რამდენათ შეიძლება დაინტერესდეს ბავშვი ჩვეულებრივის მოვლენით:

„მე და ჩემი ხუთის წლის ვაჟი,—ამბობს პროფესორი—დავსეირნობდით ბაღში, სადაც ნერგების ჩასარგავათ ორმოები იყო ამოთხრილი. ერთ ორმოში პატარა ზღარბი ჩავარდნილიყო და სასოწარკვეთილებით აქეთ-იქით კედლებს აწყდებოდა. ბავშვის ყურადღება შეშინებულ ზღარბზე მივაქციე და ვუთხარი: „ამ სულელს ჰგონია, რომ მოვკლავთ მაგასა. მაგრამ ჩვენ კი უნდა გადავარჩინოთ ეგ,—დავუმატე მე.

ბავშვი აღტაცებაში მოვიდა, როდესაც იგი მივიწვიე დასახმარებლათ. აღელვებული ბავშვი ამოყვანის დროს სცდილობდა როგორმე აეხსნა ზღარბისათვის ჩვენი კეთილი განზრახვა. ვისარგებლე ბავშვის მდგომარეობით და ავუხსენ, თუ რამდენათ საბრალონი არიან პირუტყვნი, ამასთანავე ავუხსენი ადამიანის მოვალეობა, როგორც მათის მშველელისა“.

მართლაც მშვენიერ სურათს წარმოადგენს ეს ახლათ გამოღვიძებული მაღალი გრძნობა პაწია მომავალ მოქალაქისა. რამდენი შემთხვევა ეძლევა მშობელს მაგვარ გრძნობების ყოველ დღე გამოღვიძებისას? ყოველივე უმნიშვნელო შეკითხვა ბავშვისა, ყოველივე ჩვეულებრივი მოვლენა, რომელიც აინტერესებს ბავშს აძლევს მშობელს ამ შემთხვევას, და თუ შემდეგ ამისა ჩვენ ბავშს მაინც კიდევ ვატყობთ სიცრუეს, გარყვნილებას და ავ ზნეს, ვინ არის ამაში დამნაშავე და ვინ უნდა დაეტუქსნა ბოქაულს, როდესაც ორმა ბავშმა ღამე მოახერხა სახლიდან გაპარვა და ინგლისში აპირობდა გამგზავრებას?..

გ. ზ. მაჩაბელი.



პროვინცია.

ახალციხე-ჯავახეთი. ახალციხე-ჯავახეთი ითვლება ამერ-იმერეთიდან გამოყოფილ მხარეთ, რომელიც შეადგენს სამესხეთოს ნაწილს, ანუ საქართველოს სამხრეთის ნაწილს.

საქართველოს სამხრეთ ნაწილს „სამესხეთო“ შეადგენს: ახალციხე, ჯავახეთი, აჭარა, ქობულეთი, შავშეთი, ერუბეთი, ლივანა და ჭანეთი, რომელიც სივრცით

თითქმის ამერ-იმერეთს აღემატება, მიუხედავათ იმისა, რომ მთელი ჭანეთი (ლაზისტანი) თითქმის ოსმალოს მფლობელობაში ძევს, ტრაპიზონის ვილაიეტში (ოლქში). საზოგადოთ სამეხეთოს უმეტესი ნაწილი ქართველ მაჰმადიანებისაგან შესდგება, სადაც 200,000 მცხოვრებელი ირიცხება; მარა ქართველი ქრისტიანები (კათოლიკენი და მართლმადიდებელნი) და სომხებიც დიდ ძალს შეადგენენ. უკანასკნელნი იპყრობენ უფრო ახალციხე-ჯავახეთს, ართვინსა (ლივანაში) და არდაანსა და არდანუჯში (შავშეთ-ხევსურეთში). ცხოვრობენ აგრეთვე ბევრი თათარჟამა, ქურთი, თურქიმანი და დუხობორებიც. მაჰმადიანთა შორის, სამშობლო ენა წმინდათ შერჩათ 2—3 საუკუნით ქრისტიანობიდან ჩამოშორებულთა, მხოლოთ აჭარა-ქობულეთს, ართვინის გარემო მიდამოებსა და ნაწილს ახალციხის მაჰმადიანებისაც, დანარჩენ ადგილებში ან მცირეთ ახერხებენ და ან სრულიადაც ვეღარ ლაპარაკობენ.*) ასევე ითქმის ქრისტიან ქართველებზე (კათოლიკეთა შორის). ს.ს. კარტიკაშის, ტურცხის, სულგუმის, ბავრის (ჯავახეთშია) და ართვინის და არტაან-არტანუჯის მცხოვრებლებზე, რომელთაც სრულიათ დაუკარგავთ სამშობლო—ქართული ენა. ართვინის და არტაან არტანუჯელთა შორის ნიშნათ ქართული ენის ნასახისა შერჩენიათ ბევრი ქართული სიტყვები, რომლებსაც თავიანთ ჩვეულ სომხურ ენაში ურევენ ხოლმე დომხალივით, მაგ.: დედა, ბიძა და სხვ.

შევუდგეთ ისევ ახალციხე-ჯავახეთს.

აწმყო განვითარებისა და ხალხის გამოღვიძების სხივმა ახალციხე-ჯავახეთშიაც შემოანათა. ადგილობრივ მკვიდრ მაჰმადიანებსაც აგრძნობინა, რომ მამა-პაპური სიბნელეში დარჩენა შეუძლებელი იყო, თავი უნდა დაღწია მონობისაგან და ახალ ცხოვრებას დასწფებოდა და დაუყონებლივ შეუდგა სხვებთან ერთათ ძველი რეჟიმის დაგმობას; თუმცა აწინდელმა რეაქციის სიდუხჭირემ აქაც გაჰფანტა ამისთანა პროგრესიული მოძრაობა, მაგრამ ახლათ განვითარებული მესხი მაჰმადიანი მაინც დარწმუნებულაა, რომ ოდესმე, თუ ადრე ვერა, დაჰბერავს თავისუფლების ძლიერი ქარი და განაახლებს ცხოვრებას, თავისუფლათ ამოისუნთქვენ ესენიც და ამ იმედებით გამსჭვალული დიდი სულგრძელობით განაგრძნობენ დღევანდელ ტვირთის ზიდვას. თუ 4—5 წლის წინეთ საცხოვრებლათ გადადიოდენ ოსმალოში, დღეს კი თავიანთ მამაპაპურ მიწა-წყალზე მკვიდრათ იკიდებენ ფეხს და არამც თუ აღარ ფიქრობენ სამშობლოს მიტოვებაზე, პირიქით, ძველათ გადასახლებულთაც აქეთ იწვევენ.

ამავე შეგნებამ აფიქრებინა მათ სწავლა-განათლების მიღების აუცილებლობა და დაიწყეს თავიანთ შორის სკოლების გახსნაც. თუმცა ახალციხე უკანასკნელ ადგილს იკერს საქართველოში სწავლა-განათლებით ჩამორჩენაში, რადგანც მთელ მაზრაში აქ, სულ 8 სამინისტრო სასწავლებელია, მარა ორი სკოლის გარდა ყველა ეს სასწავლებლები მაჰმადიანთა შორის არსებობს. ასე რომ მაჰმადიანები აქ თავიანთ მეზობელ ქრისტიანებსაც წინ უსწრობენ (მაგ., ვალე და არალი, რომელებიც ქრისტიან ქართველთა შორის უპირველეს სოფლებათ ითვლებიან, სამინისტრო სასწავლებელს ვერ ნახავთ, როდესაც მაჰმადიანთა შორის ამაზე ჩამორჩენილ სოფლებში სასწავლებლები უკვე გახსნილია). ქრისტიანებთან შედარებით, მაჰმადიანები აქ ეკონომიურათაც დაწინაურებულები არიან. ასე რომ ახალციხე-ჯავახეთის მაჰმადიანები ბევრათ სჯობიან მეზობელ ქრისტიანებს ყოველმხრივ. მათშია ნდობა, სიმართლე, პატიოსნება, მეზობლის გატანა, გულკეთილობა, სტუმართ პატივის ცემა და ყოველნაირი სიპატიოსნე, რაიცა ქრისტიანებში იშვიათია აქ.

ადგილობრივი ხალხი უფრო მეურნეობას მისდევს, მოყავთ: პური, ქერი და სიმინდი. მოყავთ აგრეთვე ბოსტნეულობი და სთესენ შიგ უმეტესათ კარტოფილს, აშენებენ ბაღებს, ამრავლებენ საქონელს; ყველა ეს მათ ცხოვრების უმთავრეს საღსარს შეადგენს; ეწევიან ფეხზე ვაჭრობა-მრეწველობასაც, მეფუტკრეობას ალაგ-ალაგ მისდევენ. მიწის სივიწროვე კი ძალიან აწუხებს მკვიდრთ და ამიტომაც მიწას ეძებენ გადასასახლებლათ.

ამჟამათ ხიზაბავრიდან 30 კომლი მიდის გორის ახლო ს. სკრაში, სადაც თბ. სათავად-აზნაურო ბანკის მამულებს ყიდულობენ: 400 დესეტინა სახნავ-სათესი და სავენახე ადგილებია, 40 დეს. სათიბი ჭალები და 1,000 დესეტ. ტყე. ამას სულ 40,000 მან. ყიდულობენ. გადასახდი განაწილებული ჰქონიათ თურმე ასე: 5 ათასი მანეთი უნდა გადაიხადონ ჩასახლების დროს 5 ათასი ექვსი თვის შემდეგ, ათასი ერთი წლის განმავლობაში და დანარჩენი 20,000 მან. 36 წლის განმავლობაში. ის ვერ გავიგე, რა პირობებია თუ ვადაზე ვერ გადაიხდიან ამ ფულს.

მე კი მგონია, პირველ 20 ათას მანეთს ორი წლის განმავლობაში ვერ გადიხდის გლეხი. საჭიროა ვადის გაგრძელება. გადასახლების დროს მას თვითონ სჭირია ფული.

მესხი **კ. გვარამაძე.**

რაჭა. ძალიან ცუდ მდგომარეობაში აგდებს რაჭას გზის უქონლობა. ყოველივე ნივთი ამის გამო თითქმის ერთი ორათ ფასობს და ტყავგამძვრალი ხალხი გაცილებით მეტ გასაჭირში ვარდება. მართალი, არის ერთი გზა, მაგრამ ხალხისთვის მაინც უსარგებლოა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის ძალიან ცუდია და ამიტომ საშიშიც, და მეორეც, მიმოსვლის საქმე აქეთ ისეთ პირების, ხელშია რომლენიც მგზავრების ჯიბეების უზომო ექსპლოატაციას ეწევიან, — საგზაო ფულის ორჯერ

*) ერთი ინგლისის ელჩი სწერს: ანატოლიის აწერილობაში შევამოწმე, რომ 600,000 ჭანი ლაპარაკობს მცირე აზიაში ჭანურათო. იხ. გაზ. „ისარი"-ს № 128, 1907 წლისა.

გადახდევინება, გზაში შეჩერება, მგზავრებთან მოურიდებელი მოპყრობა, და ყოველ წუთში მოსალოდნელი გადავარდნა ხევში,—ეს ჩვეულებრივია მრავალ ჯელ იყო აღნიშნული გაზეთებში ასეთი არანორმალური მდგომარეობა მიმოსვლისა, მაგრამ არავის ყურადღება არ მიუქცევია ჭკონი, არც მომავალში მიაქცევენ, თუ თვით საზოგადოებამ არ ამოიღო ხმა.

როგორც გავიგეთ, განზრახვა ქონიათ რაჭა ლეჩხუმის გზაზე ავტომობილით მიმოსვლა მოაწყონ. ეს ძალიან სასიამოვნო მოვლენაა და ჩვენის ფიქრით, არც საქმის მომწყობნი იზარალებენ თუ საქმეს მოაწყობენ და ისეთ არა სასიამოვნო შედეგებს, რომელთაც ეხლა ადგილი აქვთ, ბოლოს მოუღებენ.

დათიკო რაჭველი.

ქართული თეატრი ქ. ქუთაისი.

8 სეპტემბერს ადგილობრივმა დრამატიულმა დასის ამხანაგობამ სეზონი გახსნა.

— შემდეგში რა იქნება ვინ იცის-და ჯერჯერობით სეზონის დაწყებას სრული უნუგეშობა და უიმედობა ეტყობა,—როგორც თვით დრამატიული საზოგადოებისაგან ისე ქუთაისის თეატრში მოსიარულე ხალხისაგანაც.

წლის დამდეგს, ახლ ვე აქაურმა საზოგადოებამ თუ ამგვარი გულცივობა და აპატია გამიჩინა ერთათ ერთ სიმპატიურ, ეროვნულ დაწესებულების-თეატრისადმი, შენი მტერი, ის სულს მალე დაღაფავს. წარმოიდგინეთ, აქაურ საზოგადოების „საზოგადოებრივმა“ და მისი ხელოვნებისადმი გემოვნება. ამ საღამოს ცირკი, ეს მასხარათა საოხუნჯო დაწესებულება გატენილი იყო ხალხით, თეატრი, ლოჟები, ქანდარა-კი სტირალ სიცალერეს განიკთიდა. ათიოდ პირი მოსულიყო თეატრში, დანარჩენი-კი ცირკს მიეზიდნა.

მართალია მოწაფენი, რომელნიც ყოველთვის სწყალობენ ხოლმე თეატრს ნაკლებათ იყვენ, მაგრამ იმათ საპატიო მიზეზიცა ქონდათ ამისთვის: ვიღაც მოსწავლის მიერ მოხდენილ ინიციდენტის გამო, ცირკში წინა ღამეს, ახლა ყველა მოსწავლეთ თეატრში სიარული აუკრძალეს; ეს კარგი, მაგრამ სად იყო ის საზოგადოება, რომელიც სეზონის გახსნას ასე შეხაროდა და ელოდა?

დრამატიული დასის წრეკანდელ შედგენილობაზე, მათ რეპერტუარზე შემდეგში ვისაუბროთ, აქ მხოლოთ იმას ავღნიშნავ, რომ სეზონი ულაზათო, უინტერესო პიესით დაიწყო. ითამაშეს კრიგერ-ბოგდანოვსკის სამ მოქმედებიანი, მ. მარჯანიშვილის ნათარგმნი დრამა „იდეალებისთვის ბრძოლა“.

ფბაული პიესისა შემდეგი: პირველ აქტში ჩვენ ვხედავთ შრომის მოყვარეს, ენერგიულსა და გულკეთილ სტუდენტს, იურისტს ვასილი ვიქტოროვიჩ ნიკიტინს, რომელიც მუდამ იდეალებზე ფიქრობს და ბრძოლის წყურვილით სულდგმულობს. მეორეს მხრით არის უდარდელი, ცხოვრებაზე პრაქტიკულის მხრით შემხედვარე სტუდენტი ექიმი პეტერ სტეპანოვიჩ ზლატოპოლსკი. საუბრის დროს იურისტი აღნიშნავს მიუტევებელ სოციალურ უსამართლობას პროსტიტუციის და პანრაგრაფიის რეალურ მიზეზებს დღევანდელ დუხჭირსა და ულმობელ წესში ხედავს. ის აღშფოთებულია იმით, რომ მამაკაცებს ქალები დამონავებული ყავს და სხვათა შორის მათი ეგოისტობა და „უსინდისობა“ იმაში გამოიხატება, რომ დედაკაცთა სქესიდან ისინი, ქალწულობას, სიწმინდეს ითხოვენ ქორწინებამდის და მამაკაცები-კი ამ აქტამდის კარგავენ სქესობრივ სისპეტაკეს და ადრევე იხრწნებიან;—ეს ჩვეულებრივი მოვლენაა სტუდენტ ექიმის პეტერის აზრით. მაგრამ ვასილი აღშფოთებულია და მას ეს თავისი მოსაზრება ცხოვრებაში უნდა განახორციელოს; მას ერთ დღეს ოთახში შემოეკრება მის მეზობლათ მცხოვრებელი, მევალესაგან შევიწროებული, ცხოვრების უკუღმართ პირობების მიერ წუმპეში ჩაფლული, თავის სხეულით მოვაჭრე პროფესიონალური როსკიპი ქალი მარია კარპოვნა ვეროზდეკა. სტუდენტი შეიფარებს მას, მზრუნველობას უწევს და სურს მას ნატაციებითა და დარიგებით დაანახვოს „ახალი გზა ცხოვრებისა“ და ამ წუმპედან ამოათრიოს ის.

ვასილი თავისთან აცხოვრებს მარის. დაყავს ის თეატრში, უკითხავს მას წიგნებს, ნაცნობთა წრეში ატარიალებს მას, პაპიროსის წევას ხელს აღებინებს და შრომის სიყვარულსა და უნარს უნერგავს მას გულში. მაგრამ დახეთ უბედურებას, თურმე საზოგადოებრივის წესის მიერ შექმნილს არა ნორმალური მოვლენების მიერ გაჩენილი მსხვერპლის გადარჩენა პიროვნებათ არ შესძლებია: ფსიხოლოგიას და ლოღიკას ცხოვრებისას თავისი გაავქს და ერთ დღეს ისევ გაეღვიძება მარის ძველ, დუხჭირ ცხოვრებისადმი დაბრუნება; მას მოსწყინდა ეს, ეს სიმყუდროვე, ოთხ კედელთა შორის ნატაციების მოსმენა და გაქურდავს რა თავის მსხნელსა და მოკეთეს ის გარბის სანადიმო საღამოზე, საიდგანაც იწყება მისი უწინდელი ცხოვრების გაგრძობა. მაშ ავტორის მიზანი, დედა აზრი ის არის, რომ დაანახოს მსმენელს თუ რა ძნელია თანაშეზრდილს სიგლახისა და სიგახრწნილის ადამიანის გულიდან ამოფხვრა...

ვასილი მარცხდება, მისი იდეალები და ოცნებათა სამეფო ქრება და სრულ უიმედობას ეძლევა. ის რჩება ბრძოლის ველზე დამარცხებული და პეტერი იმარჯვებს. ეს ვასილს თავის უტაქტიკო მოქმედებით მოუვიდა და და არა აუცილებლობით. მარის თანდათანი „აღზრდა“ მაგალითებით უნდოდა და მან კი სახარების კითხვითა, ეკლესიაში მარის გაგზავნითა და ცალიერის დარიგებით მოინდომა მისი გასწორება.

საზოგადოთ პიესაში გარეგანი მხარე, სტუდენტების ცხოვრების ნათელი ილიუსტრაციაა, რაც შეეხება იდეას, მის დამახასიათებელი-დრამა მკრთალია...

თამაშის მხრით მსახიობებს ეტყობოდათ ცდა ხელ-

შეწყობით ეთამაშნათ და თუ მხედველობაში მივიღებთ თეატრის სიცალიერის გავლენას, მაშინ მათ ვერ ვუსაყვედურებთ ულაზათო თამაშს: ჩვეულებრივის მოხდენილს თამაშით შეასრულა თავისი როლი ნ. დავითაშვილის ასულმა; მან მშვენიერათ დაგვისურათა ცხოვრებიდან გარეულის, წუმპეში მყოფისა და ულმობელ პირობების მიერ შექმნილის მსხვერპლის, როსკიპ ქალის სულისკვეთება; კარგი სტუდენტები იყვენ ბ-ნნი ზარდანიშვილი და შ. დადიანი, მეტადრე ალაგ-ალაგ კარგი იყო პირველი, როცა ის ოცნებათა სამეფოში შესტოპავდა. მოსალოდნელის სისწორით გადმოგვცა ქ-ნ ჯავახიშვილისამ ანჩხლისა და კაპას დისახლის ოლგა ივანოვნას როლი. დანარჩენნი: ურბნელი, ქილრაქიშვილის ასულნი, ბ-ნნი ბურუსიძეს, ბარველი ანსამბლდა ხელს უწყობდენ. კარგი იქნებოდა, რომ სეზონის გახსნისათანავე „громче суфлеръ“-ის ძახილი არ ყოფილიყო. მთარგმნელის ენის ღირსებაც ნათლათ გამოსჩანდა.

დასასრულ ითამაშეს პოტაპენკოს შესანიშნავი ვოდევილი: „ტაინი სავეტნიკის სიზმარი“. დამსწრე ხალხი ასიამოვნა თავის თამაშით სავეტნიკის როლის ამსრულებელმა ბ. შალიკაშვილმა. შ. დადიანი ჩვეულებრივი კარგი იყო... საჭიროა მეტი ცოცა, მეტი შრომის უნარი..

12 ენკენისთვეს თამაშობენ ჰაუპტმანის ოთხმოქმედებიან დრამას, ანაკელის მიერ ნათარგმნ პიესას „მიხაელ კრამერ“-ს. ენახოთ, ჰაუპტმანი მოიზიდავს ხალხს თუ არა.

სერ—ეორეუ.

საზღვარ-გარეთ

გერმანიის სოციალდემოკრატიის პარტეიტაგი.

ამ დღეებში ქ. ნიურენბერგში შეიკრიბა გერმანიის სოციალდემოკრატიის პარტეიტაგი. ამ პარტეიტაგის დღიური წესრიგში უმთავრესი ალაგი ეჭირა „სახელმწიფოს ბიუჯეტის კითხვას“. დიდი ხანი არაა, რაც ეს კითხვა წარმოიშვა, მაგრამ მან უკვე დიდი აურ-ზაური და მითქმა-მოთქმა გამოიწვია, როგორც სოციალისტურ, ისე ბურჟუაზიულ პრესაში. ამ რამდენიმე ხნის წინათ გერმანიის სამხრეთის სახელმწიფოებში (ბავარია, მადენი, ვიურტენბერგი) სოციალდემოკრატიულმა ფრაქციებმა ადგილობრივ ლანდტაგებში ხმა მისცეს მთავრობის ბიუჯეტს. ბურჟუაზიული პრესა დიდის აღტაცებით მიეგება ფრაქციების ამ ეთს მოქმედებას, მხოლოთ პარტიულ გაზეთების უმეტესობამ დაინახა სამხრეთელ ამხანაგების ასეთ საქციელში პარტიული დისციპლინის დარღვევა, დადგენილების უარყოფა და კლასობრივ პოლიტიკის გაბათილება, ოპორტიუნისტულ გზაზე დადგომა.

ამ კითხვამ, როგორც მოსალოდნელი იყო, პარტეიტაგის სხდომაზე მკაცრი ხასიათი მიიღო და სამხრეთელ და ჩრდილოელ დელეგატთა შორის დამოკიდულება გაამწვავა.

„ბიუჯეტის კითხვის“ შესახებ პარტეიტაგას ახალი არაფერი უთქვამს, მომხრეც და მოწინააღმდეგეც იმეორებდა ერთ და იმავე საბუთებს, რომელიც უკვე იყო გამოთქმული პარტიულ გაზეთებში, მხოლოთ ჩვეულებრივი შეურიგებელი იყო როზა ლიუქსემბურგის სიტყვა.

„დღევანდელი დღის თემა შეიცავს არა თეორიულ კითხვას, არამედ პოლიტიკურ მოქმედების კითხვას, ჩვენი ტაქტიკის არსებითი კითხვას. სოციალდემოკრატიული კლასობრივი პოლიტიკა გვავალებს ჩვენ, რომ ბიუჯეტის რეგულიარული უარყოფით გამოვთქვათ ჩვენი სიძულვილი არსებული სახელმწიფოებისადმი. რა მოყავთ საბუთათ ჩვენ სამხრეთელ ამხანაგებს? ბავარელ კათოლიკეთა ლიბერალიზმი და ბადენის მინისტრთა პროგრესიული აზრები, იმ მოსაზრებით, რომ ბადენის მუშებს ეძლევათ იმის ნაწილი, რაც მათ მაკრმა ტარიფებმა წაართო; იმ მოსაზრებით, რომ იქ რაინის გზის სადგურებზე ნება აქვთ ჰყიდონ სოციალდემოკრატიული გაზეთები,—ამბობენ, ვითომ ბადენში სოციალდემოკრატიამ მიიღო მოქალაქობრივი სწორ უფლებიანობა. დიახ, ბატონებო, დიპლომატია ყოველთვის იყო დათმობის საუკეთესო სკოლათ. ამ დასაწყისს ჩვენ ვამჩნევთ ჩვენს სამხრეთელ ამხანაგებს, ბოლოს კი—ლიბერალურ-კონსერვატიულ ბლოკის მოქმედებაში. წვრილმანი დათმობით მუშათა კლასი ვერაფერს ვერ მიაღწევს. იმის ბედნიერებისათვის საჭიროა შეუბრალებელი ბრძოლა. ჩვენ გვაქვს სრული უფლება შევძახოთ პარტიის დამგრეველებს: კმარა, არც ერთი ნაბიჯი წინ“!

დიდი დებატების შემდეგ დეპუტატ ფრომეს შემოაქვს მომრიგებელი რეზოლიუცია:

„პარტიული სიეზდი ამტკიცებს ლიუბეკის რეზოლიუციას და დავათა ასაშორებლათ ბიუჯეტის უარსაყოფათ თუ დასამტკიცებლათ ადგენს, რომ თითოეული სეიმის ფრაქცია ყოველ შემთხვევაში პირველათ მიმართავს თავის ადგილობრივ კომიტეტებს და შემდეგ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს“.

ეს რეზოლიუცია უარყოფილ იქმნა 217 ხმით, 160 წინააღმდეგ. საგულისხმოა ის, რომ ყველა დელეგატმა ქალმა წინააღმდეგ მისცა ხმა.

შემდეგ გავიდა ცენტრალურ კომიტეტის რეზოლიუცია 258 ხმით 119-ს წინააღმდეგ.

ამრიგათ სამხრეთელ დელეგატების შეხედულება დამარცხდა „ბიუჯეტის კითხვაში.“

რეზოლიუციის მიღების შემდეგ დეპუტატმა ზეიგიცმა 67 ბავარელ, ბადენელ ვიურტემბრგელ და გესენელ დელეგატთა სახელით განაცხადა:

ჩვენ ვსცნობთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ სიეზდს პარტიის კანონიერ წარმომადგენელათ და ვსთვლით მას რწმუნებულათ მიიღოს გადაწყვეტილება ყველა პრინციპიალურ და ტაქტიკურ კითხვების შესახებ, რომელიც შეეხება სრულიად საიმპერიო პარტიულ საქმეებს. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვფიქრობთ, რომ კერძო ქვეყნების ყველა სპეციალურ და პოლიტიკურ კითხვებში კომპეტენტურ ინსტანცვებათ უნდა იყოს ადგილობრივი ორგანიზაციები. ისინი სდგანან საერთო

პროგრამის ნიადაგზე, მაგრამ აქვთ უფლება განსაზღვრონ თავიანთი ტაქტიკა თითოეული ქვეყნის სპეციკური ხასიათის მიხედვით და გადასტრას კითხვა ბიუჯეტის დამტკიცების თუ უარყოფის შესახებ, თანახმათ თავის კომიტეტებისა და ფრაქციებისა“.

თავმჯდომარე ზინგერმა განაცხადა, რომ განცხადება შეტანილ იქნება ოქმებში.

ცენტრალური კომიტეტის წევრების არჩევნების შემდეგ, ზინგერმა წარმოსთქვა სიტყვა.

„გაცხარებული ვიბრძოდით ამ სიეზდზე ბიუჯეტის დამტკიცებაზე სეიმში. ხელ-ახლა მოგაგონებთ სიეზდს, რომელიც მოხდა ამავე ქალაქში 40 წლ. წინედ. მაშინ გადაწყდა ამოგვეგლიჯა მუშათა კავშირები ბურჟუაზიის ბრკყოლებიდან. გადაწყდა, რომ მუშათა კლასიის განმათავისუფლებელი ბრძოლა თვით მუშები უნდა აწარმოებდნენ შეურიგებელი ბრძოლის გზით.

დაბეჯითებითა ვსთხოვ ყველა ამხანაგებს ბიუჯეტის კითხვის შეხების დროს დაიკონ ნამდვილი მეგობრული და ძმური კილო. ყველა ჩვენ ვგრძნობთ, რომ წინ გვიდგას ძნელი კითხვები. ეს თვითმკვლელობას შეედრებოდა თუ აქ გარჩეულ და გადაჭრილ კითხვას ასევე გაეცეცხლებული და გაფთრებული გამოუდგებოდით პრესაში. საკმარისია გარეშე მტრებიც, მეტია ვეძიოთ კიდე შინაური... წინ საქმისაკენ! გაუმარჯოს გერმანიის და საერთაშორისო სოციალდემოკრატიას!“

სიეზდი დაიხურა 6 სექტემბერს.

კარგი იქნება, რომ ჩვენი ამხანაგები მიაქცევდენ ყურადღებას გერმანიის სოციალდემოკრატიიის ერთ ბელადთაგანის, ზინგერის ზემოაღნიშნულ სიტყვებს და ჩაუკვირდნენ მის შინაარსს.

თეატრი.

6 სექტ. ავჭალის აუდიტორიაში წარმოადგინეს ბ-ნ ნასიძის მიერ გადმოკეთებული პიესა: „ბედს ვერ წაუხვალ“! პიესა არ არის უშინაარსო, ის ტრაგიზმით არის სავსე და მაყურებელზეც, თუ ხერხიანათ ასრულებული იქნება, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

მაგრამ აღნიშნულ სცენის მოყვარეებმა ერთი კაცის გარდა თუ არ დაამახინჯეს თავიანთი ჩიქორთული ენით, სრულებით ვერ ასრულეს მაინც. ერთათ-ერთი, რომელმაც დაკმაყოფილა მაყურებელნი ეს იყო ბ-ნი ბაღაშვილი. მან საუცხოოთ შეასრულა ზნედაცემულ ალექსანდრე ვარდანაშვილის როლი. მთელი სცენის განმავლობაში მას ერთხელაც არ შეუწყვეტია თეატრი სხეულით კანკალი, რაც ცხადია განსაკუთრებით სცენის მოყვარისთვის დიდ სიძნელეს უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ ბ-ნ ბაღაშვილმა ეს სიძნელეც გადალახა და როლი პირნათლათ შეასრულა.

სხვების შესახებ ეს არ გვეთქმის. მხოლოთ, ქ-ნი ლელაშვილი და ბ-ნი გრიშაშვილია ყურადღების ღირსი, რომორც ასე თუ ისე პროფეს. სცენის მოყვარენი.

რაც შეეხებ ქ-ნ ლელაშვილს, უნდა ვთქვათ, რომ მას მეცადინეობის შემდეგ, შეუძლია ქართულ სცენას სარგებლობა მოუტანოს, მხოლოთ დრამატიულ-ტრაგიკული როლები, არამც და არამც არ შეეფერება მას. კომიკურ როლებში კი საკმაო ნიჭსა და უნარს იჩენს და სასურველია ამ ხეარეს მიაქციოს ყურადღება.

ბ-ნი გრიშაშვილი ჯერ კიდევ ახალგაზდა ყმაწვილია და თუ ეცდება, არც უიმედოა მისი მომავალი. აღნიშნულ პიესაში კი ისიც ძალიან კეკლობდა. მას ჰონდა ქართველი ტეტიას როლი, მაგრამ ვერ დაგვიხატა ქართველი გლეხი როგორც შეეფერებოდა.

როგორც ქ-ნ ლელაშვილს, ისე ბ-ნ გრიშაშვილს, თუ უნდათ სცენის სასარგებლოთ დარჩენ და ხალხის პატივისცემა დაიმსახუროონ, მეტი მომზადება და წინ დახედულობა უნდა გამოიჩინონ და სცენაზე არც ისე უგულოთ უნდა გამოვიდენ. თავმდები მათი მომავლის ეს,—მათივე მეცადინეობა და წინ დახედული მოქმედებაა.

დასასრულულ დადგეს „დატრიალდა ჯარა“. ამ ვოდევილიდან ბევრი არაფერი მოითხოვება და მკითხველიც იცნობს მას...

ვოდევილში არა უშავდა ქ-ნ რჩეულოვისას. საზომადოთ ქ-ნი რჩეულოვი გვარიანათ თამაშობს და იმედია მომავალშიაც გაუწევს დახმარებას სახალხო სცენას.

ანტრაქტებში უკრავდა საპიორის ბათალიონის სალდათებისგან შემდგარი სიმებიანი ორკესტრი.

წესრიგზე აღარაფერი ითქმის, გარდა იმისა, რომ უწესიერბაც ვერარ წავა ამას იქით... მუსიკა ლეკურს უკრავს, ხალაში ტაშის ცემა და ცეკვა იმართება, სცენაზე მოთქმა-ტირილია—ზალაში სიცილ-ხარხარი და ყვირილია!.. ახირებული „პუბლიკაა“, მაგრამ უფრო ახირებულია თვით ადმინისტრაცია წარმოდგენის! მას რომ სათანადო ზომები მიეღო, არც ასე იქნებოდა.

—:—

„დიდებულ მწერალს რუსეთის მიწისა“, ავჭალის აუდიტორიის რუს სცენის მოყვარეებმაც სცეს პატივი და 8 სექტემბერს საიუბილეო საღამო გაუმართეს.

სიამოვნებით უნდა ავღნიშნოთ, რომ საღამომ, როგორც პროგრამით, ისე ასრულებით, მოლოდინს გადააჭარბა. პროგრამა შემდეგი იყო: 1) მოკლე ბიოგრაფიული მიმოხილვა, 2) ნაწყვეტები რომან „აღდგომიდან“, 3) პირველი და მესამე მოქმედება დრამიდან „მეუფება წყვდიადისა“ და 5) ანოთეოზი.

ბიოგრაფიული მიმოხილვა წაიკითხა ბ-ნ ბეილინმა. მან მოკლეთ და გარკვევით დასასრათა ტოლსტოის ცხოვრება და შეეხო აგრეთვე მის შემოქმედებითს ნიჭს სიტყვა კაზმულ მწერლობაში,

„აღდგომიდან“ ნაწყვეტები წაიკითხა ბ. ლეონიდოვმა, რითაც საზოგადოება ძლიერ ნასიამოვნები დარჩა.

ამის შემდეგ დადგეს, როგორც ავღნიშნეთ, პირველი და მესამე მოქმედება „მეუფება წყვდიადიდან“, რაც საუცხოოთ იქნა შესრულებული. სცენის მოწყობილობაც, ტანისამოსებიც, გრიმებიც, ყველაფერი სწორი იყო. განსაკუთრებით კარგი იყვენ ქ-ქ, ტოკარევი (აკულინა), ლავროვი (ანიუტკა) და გალინა (მატრონა), ბ. ბ. ირანსკი (აკიმი) და კუზოეოვი (ნიკიტა); დანარჩენები კი სამაგალითოთ უწყობდენ ხელს ანსამბლს, რითაც დიდათ ნასიამოვნები დარჩენ მაყურებელნი.

უკანასკნელათ ბაიმჰრთა ანოთეოზი. აიხადა ფარდა და თეთრათ ბამოკ.ნდაკებული ცოცხალ ფოთოლში ბამოჩნდა დიდებული მწერალი და მის გარშემო შემოწყრიგებული სცენის მოყვარენი. ხალხი ტაშის გრიალითია და „გაუმარჯოს ტოლსტოის“ ძახილით მიეგება. სურათი საზოგადოების თხოვნით სამჯერ იქნა განმეორებული... სურათში საუცხოოთ ეჭირა თავი ბ-ნ ზაგორსკის.

ბოლოს, ტოლსტოის ჭანდაკებას ბარს შემოეხვია იუბილეის მონაწილენი და აღტაცებულ ხალხთან ერთათ ისინიც ტაშს უკრავდენ მცხოვან მწერალს.

ანტრაქტებში აქაც უკრავდა ზემოთ აღნიშნული ორკესტრი, რომელმაც ხალხი ძალიან ასიამოვნა.

წესრიგი საუცხოო იყო, რაც ცხადია რამოდენიმეთ გამგეობის მოქმედებას უნდა მიეწეროს.

მომავალი წარმოდგენა გაიმართება 21 სექტემბერს. ვუსურვებთ წინსვლას პატივცემულ სცენის მოყვარეთ.

პარ.

ღია წერილი თფილისის სახალხო უნივერსიტეტის ოსურ სექციის წევრს მათე თომაევს.

ბ-ნო მათე, თქვენ ერთ-ერთ კრებაზე მიწოდეთ ჯაშუში, გარდა ამისა თქვენ სთქვით სოფლათ ჩემი მოქმედება, რომ გაიგოს ხალხმა, ის მე საზოგადოებაში აღარ გამატარებსო. რადგანაც ყოველად საზიზღარ საშვალებას მიმართეთ ჩემი სახელის ხალხში დასაცემათ, სიმართლის აღსადგენათ მოვითხოვ თქვენგნით გამომყვეთ სამედიატორო სასამართლოში იმ პირობით, რომ სასამართლოს დადგენილება იქმნეს გამოცხადებული გაზეთებში.

ჩემის ჩხრით ვასახელებ მედიატორებათ მ—ს. და მიმინოს. ვადას გაძლევთ ამ წერილის გამოცხადების დღიდან 6 დღეს.

ოსი.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ ბარამაშვილი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

რედაქცია ამით აცხადებს,—ვინც

„ჩ ვ ე ნ კ ვ ა ლ ს“

წასული თვეების ნომრებით, ან მხოლოთ პირველი სექტემბრიდან გამოიწერს წლის ბოლომდე, მიიღებს

პრემიათ პოპულიარულ სამეცნიერო სტატიებისა და მოთხრობათა

კ რ ე ბ უ ლ ს

რომელიც დაახლოებით შეიცავს 200 გვერდს.

ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

ჩ ვ ე ნ ი კ ვ ა ლ ი

გაზეთის ფასი:

	თბილისსა და თბილის გარეთ	5 მ. — კ.
ნახევარ წლით	— —	3 მ. — კ.
სამი თვით	— —	1 მ. 60 კ.
საზღვარ გარეთ ერთი წლით		7 მ. — კ.
ნახევარ წლით	— —	4 მ. — კ.
სამი თვით	— —	2 მ. — კ.

ცალკე ნომერი ყოველგან ორი შაური.

მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 11-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ხელის მოწერა შეიძლება: თბილისში, წიგნის მაღაზია „სორაპანი“ მადათოვის კუნძული. ფოსტით ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესათ:

Тифлисъ. Редакція «Чвени Квали». Ванкская ул. № 12. Рахиль Каландадзе.

ახალ გახსნილი სახელოსნო

მ ხ ა ტ ვ ა რ ი
ი. მ. რ ე ვ ა ზ ო ვ ი

ვღებულობ სამუშაოს ყოველგვარ სავივესკო, სავარაყო, სამხატვრო, სამღებვრო და სამაკეტოს.

სიქმეს ვასრულებ კარგათ და სანდოსიერათ, რაშიაც შეუძლია მატივტეშულ შემკვეთლებს დარწმუნდენ.

ადრესი: Разъѣзжая ул. д. Попова, № 11, въ 9 уч.

1908 წ. ენკენისთვის 1-დან ქუთაისში

ნ. ლ. მიქელაძის ასულმა

მთავრობის ნებართვით გახსნა მე-3 ხარისხის

ქ ა ლ თ ა ს კ ო ლ ა

პროფესიონალურ განყოფილებით

ასწავლიან: 1) სრულს კურსს ერთ-კლასიან სამინისტრო სკოლისას.

2) სრულს კურსს ჭრა კერვისას, სხვა და სხვა დარგის ხელთ-საქნარსა და შლიაპის ხელობას.

სწავლის ქირა წელიწადში 36 მანეთი.

თხოვნები მიიღება სასწავლებელში. ტფილისის ქუჩა, სახლი ნესმაშინის (ადრე სანიკიძისა).

ა ხ ა ლ ი გ ა მ ო ც ე მ ა ნ ი

იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისა.

დედა-ენა, ნაწილი მეორე, ოცდა- მესამე გამოცემა წერა-კითხვის საზოგადოებისა. ჩამატებული აქვს ექვსი გვერდი ახალის საწერი დედნისა და თორმეტი, ნოტებზე გადაღებული, სახალხო სიმღერა: კახური, ქართლული, იმერული, გურული, მეგრული, სვანური. ფასი იგივეა.

დედა-ენა, ნაწილი პირველი, გამოცემა ოცდა-მეოთხე, დაბეჭდილია ახლად ჩამოსხმული ასოებით, იპყრობს სამს გვერდს სხვილის ხელის დედნისას. ფასი იგივეა.

რუსსკოე სლოვო, ნაწილი პირველი, მეთექვსმეტე გამოცემა, იპყრობს ახალს პეტერბურგში დამზადებულს ნიმუშებს რუსულის პირდაპირის წერისას. ფასი იგივეა.

რვეულები, პირდაპირი რუსული წერისა, საუკეთესო ქაღალდზე დაბეჭდილი, იყიდება წერა-კითხვის საზოგადოებაში და ბრიკჟოროვთან. ფასი სამი კაპეიკი.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „სორაპანი“, მადათოვის კუნძული, სახლი მუზრანსკისა № 1.